# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 მაისი, 2012 წელი.

№87 (6964)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## ბურჯანაძე-ივანიშვილის ოპოზიციური თანამშრომლობის აუცილებლობა



3

## სინდისი, მერწმუნეთ, მაინც კარგი საქონელია!

### გასეთურებული მიშავიზია

რად არ ვიყენებთ სრულად ჩვენივ კბილების „ნავაროტკებს?“ 2

## ნაციონალთა კაპრიზები

### ერთდღიანი კანონპროექტი 3

## უგულავამ ხელი კვიპაროსებზე შეიწმინდა 2



## რათა გლეხმაც იხეიროს და ბიუჯეტმაც



6

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს

## ქალაქი ერთი კაცისთვის 6

## „პოუმლოსტად“ მიჩნეული 5 გამარჯვების პარადი

## მდინარე ხრამი განსაცდელშია! 11

## სამორი ბალდეს დიდი დღე



12



8

## ისტორიის გაკვეთილი პუტინისთვის

გასეთურებული მიშავიზია

# სინდისი, მერწმუნეთ, მაინც კარგი საქონელია!

## რად არ ვიყენებთ სრულად ჩვენივ კბილების „ნავაროტკებს?“



**მაინც-მეთქი, ხაზგასმით იმად ვამბობ, რომ სათაურად გამოტანილი კომუნისტების დროინდელი ამ ფრთიანი ფრაზის „იგნორისთვის“ მაშინდელი ენაკვიმატნი „ამტკიცებდნენ“ — სინდისი თუ მართლაც საქონელია, და, თანაც, კარგი, რატომ არა აქვთ სპეკულანტებს დახლქვეშ დამალულიო!**

**მაგრამ, მერწმუნეთ, ხალხო (ძალიან ვწუხვარ, რომ ამას ჩემი ტელევიზიელი კოლეგების მისამართით ვამბობ), სინდისი მართლაც კარგი საქონელია!**

ეს ძალიან ბევრისთვის იმედის წამგვრელი „იმედის“ — ამ ხალხის მაზომბირებელი და ვირტუალური კეთილდღეობის „მხატვარი“ ტელევიზიის — მოდელირებას ნაჩვევი „ქრონიკის“ 9 მაისის ერთმა სიუჟეტმა გამახსენა და მათქმევინა.

კერძოდ, იმ დღის 20-საათიან „ქრონიკას“ ვგულისხმობ.

**უწინარესად, იმან გამაკვირვა, რომ 9 მაისს ხელისუფალთაგან არვინ მისულა ვაკის პარკში ვეტერანებისთვის გამარჯვების დღის მისალოცად.**

**აფერუმ მათს გულისხმიერებას!**

**— ვაკის პარკში მისულმა ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ მისთვის ვეტერანები პრიორიტეტი არ ყოფილაო**, — გვითხრა დიქტორმა (თუ არ ვცდები, იგივეს გვამცნობდა ტიტრიც!).

მერე თავად ბიძინა ივანიშვილიც გამოჩნდა ეკრანზე. მოვუსმინე და...

მართლაც, სად ერეკლე და სად... თეკლე!

მეორე დღეს, გუშინ, ინტერნეტში კვლავ მოვინდომე იმ „ქრონიკის“ ნახვა, მაგრამ, ჩვენი პრეზიდენტის საყვარელი გამოთქმისა არ იყოს, წურას უკაცრავად — თავისუფლად გაიხსნა 11-საათიანი, 14-საათიანი, 17-საათიანი „ქრონიკები“, 19-საათიანი „ქრონიკის“ ხუთწუთიანი ანონსიც, მაგრამ 20-საათიანი „ქრონიკა“, რამდენიც არ ვუძახეთ და ვთხოვეთ, „სეზამ გაიღეო“, არაფრით არ „გაიხსნა“ (სულო ცოდვილო, იმიტომ ხომ არა, რომ წინა დღის, უკაცრავად პასუხია და, ნავირეშმაკალი დამალა გასეთურებულმა მიშავიზიამ?!)...

ამიტომაც „ქრონიკის“ წინანდელი გადაცემიდან გადმოვწერე ვეტერანებთან დაკავშირებით ბატონი ბიძინას ნათქვამი:

**„განსაკუთრებული, საუბედუროდ, მე არაფერი არ გამიკეთებია იმ ერთადერთი მიზეზით, რომ ეს არის ძალიან პრივილეგირებული პასუხისმგებლობა სახელმწიფოსი და მე ასეთ თემებს, როგორც იცით, თავს ვარიდებდი... და, საუბედუროდ ვერ მოვახერხე, გამეკეთებინა რაიმე სერიოზული და სპეციალური ვეტერანებისთვის, მაგრამ ამის დრო კიდევ რჩება. მიზეზი არის ერთადერთი — სახელმწიფოს ყველაზე დიდი პრივილეგია, სახელმწიფოს ყველაზე დიდი ვალდებულება არის, იზრუნოს ასეთ ხალხზე. მე, რამდენადაც ცნობილია, ჩემი დამოკიდებულებით, ჩემი მსოფლმხედველობით მუდამ ვცდილობდი ჩრდილში ყოფნას, ასეთ საკითხებს ვერიდებოდი“...**

**ძვირფასო კოლეგებო, როგორ შეიძლება ამის შემდეგ იმის თქმა, ბიძინა ივანიშვილმა აღიარა, რომ ვეტერანები ჩემი პრიორიტეტი არასოდეს ყოფილაო?**

კაცი ამბობს, საუბედუროდ, ვერ მოვახერხე, რაიმე სერიოზული და სპეციალური გამეკეთებინა ვეტერანებისთვისო, იმასაც აღნიშნავს, რად ვერ მოახერხა და დასძენს, ამისი დრო კიდევ რჩებაო.

რა ქვია ამის მერე თქვენს ნათქვამ-ნაქმნარს?

**კოლეგები რომ არ იყოთ და ამისთვის მემეტებოდეთ, თამამად და უყოყმანოდ გავიმეორებდი იმას, დათა თუთაშხიამ რომ შეუძახა გაუბედურებულ-დამონებული და სულიერად დაძაბუნებულ-დაცემული ადამიანის მაგვართ, — რას დაგამსგავსათ, თქვე საცოდავებო, ამ მამაძაღლმა და მოსასპობმა სეთურმაო!**

კი ხართ გასეთურებული მიშავიზია და, შესაბამისად, ამ „თიკუნების“ ღირსიც, მაგრამ მაინც კოლეგები ხართ და... არსენასი არ იყოს, ვერ გაგიმეტე, გიორგი, ვაი დედიჩემის ღმერთსა!

რაც შეეხება ქვესათაურში ნახსენებ კბილების „ნავაროტკებს“, ერთხელ უკვე დავწერე ჩვენი პრეზიდენტის გასაგონად და ახლა თქვენს საყურადღებოდაც გავიმეორებ: **კბილებს, კბეჩა-ღეჭვის გარდა, კიდევ ერთი ფუნქცია აქვს — თუ იგრძნობთ, რომ, რბილად თუ ვიტყვით, რაიმე არასერიოზული უნდა წამოგცდეთ, ისინი (კბილები) ენას უნდა დააჭიროთ!**

დიახ, ეს აუცილებელია, რადგან მავანივით ყველაფერი არ უნდა თქვათ, რამეთუ, ხალხური სიბრძნისა არ იყოს — პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა!

**ნუ მიწყენთ და, ნუთუ მართლაც ვერ გრძნობთ, რომ, ყველაფრის ლაპარაკ-ბჟუტურზე რომც არაფერი ვთქვათ, „ზოგჯერ“ „სხვა რაღაცებსაც“ ჭამთ?**

და ბოლოს, რაკი სიტყვა კბილებზე ჩამოვარდა, ჩვენი პრეზიდენტის ერთი „ინიციატივა“ უნდა შეგახსენოთ, რომელიც, თავის დროზე თქვენი ეთერითაც „გაჟღერდა“; და რომელსაც მაშინვე კარგად გაჰკრეს კბილი ენაკვიმატებმა: **იმ ჰოლივუდურ ღიმილზე მოგახსენებთ, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა ჩვენს ხანდაზმულებს კბილების საყოველთაო პროტეზირების საპრეზიდენტო პროგრამით უნდა მოჰგვაროს და გამოუწეროს.**

ეს სიახლე, მოგეხსენებათ, ჩვენმა პრეზიდენტმა წლევანდელ ზამთარში „გააჟღერა“, როდესაც ლევან ვარშალომიძესთან ერთად ბათუმის ხანდაზმულთა სახლს თუ თავშესაფარს სტუმრობდა.

და აი, კბილების კიდევ ერთი „ნავაროტკა“ — ჰოლივუდური ღიმილი!

**ხოლო რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას თქვენი საცხრამაისო „ბრალდებით“, მერწმუნეთ, არაფერი დაკლებია. ხალხმა იცის, ვინ ვინ არის!**

**ანუ, ერთი ცნობილი კალამბურის პერიფრაზირებით თუ ვიტყვით, შენმა „ბრალდებამ“ მას ვერ ავნო, შენ კი გავნო, გავნო, გავნო „იმედო!“**

**რუსლან რუსია**

ქუჩის აქციათა ციკლი დაიწყო

# ვიმათხოვროთ, რათა დავეხმაროთ

**„პატიმართა და მათი ოჯახების დახმარების ფონდის“ ორგანიზებით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პატიმართა ოჯახების დასახმარებლად გუშინ საქველმოქმედო ქუჩის აქციათა ციკლი დაიწყო.**

ქვეყანაში ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია. ბოლო პერიოდში პატიმართა რაოდენობამ კატასტროფულად იმატა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს უმჯობესდება მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

— ფინანსური, მორალური, მატერიალური და იურიდიული დახმარება მნიშვნელოვანია არა მარტო პატიმართათვის, არამედ მათი ოჯახის წევრებისთვისაც. ჩვენ გამოვდივართ სამათხოვროდ, რათა ხელისუფლებას დავანახვოთ, რომ ამ ხალხს დახმარება სჭირდებათ. ვფიქრობ, არსებული ვითარება მოითხოვს საზოგადოების გააქტიურებას, — განაცხადა „პატიმართა და მათი ოჯახების დახმარების ფონდის“ დამფუძნებელმა კოტე ინაიშვილმა.

პატიმართა და მათი ოჯახის წევრების დახმარების კამპანია გუშინ კინოს სახლთან დაიწყო. ოთხი დღის განმავლობაში პატიმრის ფორმებში გამოწყობილი ოცამდე გოგონა სუპერმარკეტებში, სავაჭრო ცენტრებში, ბანკებსა და ბაზრობების ტიპის დაწესებულებებში პატიმართა ოჯახის წევრებისთვის შემოწირულობებს შეაგროვებს.

მოწყალების გაღების მსურველებს, ასევე შეუძლიათ სტუდია „ობიექტივში“ მიიტანონ სურსათი თუ ტანსაცმელი და შეეწიონ პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს.

**გულნაზ გახარია**

კორუფცია

# უგულავამ ხელი კვიპაროსებზე შეიწმინდა

თბილისის მერიამ კომპანია „გრინსერვისთან“ ხელშეკრულება გააუქმა. თბილისის მერმა გიგი უგულავამ მერიაში თათბირის შემდეგ განაცხადა, რომ „გრინსერვისმა“ სახელმწიფოს მიმართ აღებული ვალდებულება არაკეთილსინდისიერად შეასრულა და საკითხი სამართალდამცავ ორგანოებს დამატებით შესასწავლად გადაეგზავნება.

მერიის ინფორმაციით, ოთხმეტრიანი კვიპაროსის ნერგებისა და მისი თანმდევი მომსახურების შესყიდვაზე მერიამ ტენდერი მიმდინარე წლის თებერვალში გამოაცხადა. 120 კვიპაროსის ნერგი და თანმდევი მომსახურება თბილისის მერიამ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „გრინსერვისგან“ 225 000 ლარად შეისყიდა. კომპანიის მიერ აღნიშნული შესყიდვის ფასის ადეკვატურობასთან დაკავშირებით ეჭვი ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ გამოთქვა. ამ საკითხით დაინტერესებისთვის მერიამ ორგანიზაციას მადლობა გადაუხადა.

მერიაში აცხადებენ, რომ სატენდერო პროცედურების დაცვის მიუხედავად, „გრინსერვისმა“ პროდუქციის შესყიდვა ობიექტურ ღირებულებაზე დაბალ ფასად მოახდინა, რაც ასახული არ იყო კომპანიის მიერ მერიაში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის მერია აუქმებს კომპანია „გრინსერვისთან“ ტენდერის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებს. გაუქმებული მომსახურებების ხელახალ შესყიდვაზე ტენდერი 10 მაისს გამოცხადდება.

უგულავა ამ ყველაფრით ცდილობს თავისი და მთელი მერიის დანაშაული დაფაროს. ჯერ ერთი, ტენდერი მერიამ გამოაცხადა და 120 ნერგის დარგვისთვის ყოვლად უაზრო ფასი (225 000 ლარი) სწორედ მათ დაადგინეს. ტენდერში ერთი კომპანია მონაწილეობდა, რომელმაც, შესაბამისად, გაიმარჯვა და მერიამ თანხა გადაურიცხა. საინტერესოა, როდესაც უგულავას კანტორა შპს „გრინსერვისს“ თანხას ურიცხავდა, არ იცოდა 1 ნერგს რა ფასად ყიდულობდა? როგორც ჩანს, მერიაში ელემენტარული არითმეტიკული ოპერაციის განხორციელების უნარიც აღარ გააჩნიათ.

გარდა ამისა, ბარათაშვილის ქუჩაზე კვიპაროსები უკვე დარგულია და ტენდერის გაუქმება საქმეს რაღას უშველის? ან რა საჭიროა ახალი ტენდერის გამოცხადება? დარგულ მცენარეებს მოთხრიან და კონკურსში გამარჯვებული ახალი კომპანია თავიდან დარგავს?

მასალა კვიპაროსების შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ამ ორი კვირის წინათ გამოაქვეყნა. ქალაქის მერიამ ბარათაშვილის ქუჩაზე 120 კვიპაროსი დარგო და თითო ნერგი 990 ლარი დაჯდა. შპს „გრინსერვისის“ მფლობელები არიან ლაშა ფურცხვანიძე და კობა ხარშილაძე. ლაშა ფურცხვანიძე თბილისის მერის ყოფილი მოადგილე და ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელია, ხოლო კობა ხარშილაძე — იმავე რაიონის გამგებლის ყოფილი მოადგილე.

ბარათაშვილის ქუჩის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ კვიპაროსების დარგვის პარალელურად მათ მიერ ადრე დარგული ხეების მოჭრის გამო. ამავე ორგანიზაციის ინფორმაციით, თბილისის მერიამ ბარათაშვილის ქუჩაზე ახალი ხეების დასარგავად 225 000 ლარი გამოყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ყურადღება სწორედ აღნიშნულმა თანხამ მიიპყრო და გადაწყვიტეს, რომ შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაცია გამოეთხოვათ. როგორც აღმოჩნდა, თბილისის მერიამ მიმდინარე წლის 8 თებერვალს გამოაცხადა ტენდერი ბარათაშვილის ქუჩაზე დასარგავი ხე-მცენარეების შესყიდვის მიზნით. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, მერიას განზრახული ჰქონდა შეესყიდა 120 ცალი კვიპაროსის ნერგი. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 225 000 ლარი იყო დასახელებული.

ასეთი მცენარის მიწოდების სურვილი თუ საშუალება საქართველოში ერთადერთ კომპანიას, შპს „გრინსერვისს“ აღმოაჩნდა და ტენდერშიც მხოლოდ ეს კომპანია მონაწილეობდა. „გრინსერვისს“ 2010 წლიდან დღემდე 17 ტენდერი აქვს მოგებული, ხოლო სახელმწიფოს მიერ კომპანიისთვის ამ პერიოდში გადახდილი თანხა 4 მილიონ ლარს აღემატება.

„გრინსერვისის“ პირველადი შეთავაზება მერიის მიერ გამოცხადებული სავარაუდო ღირებულების იდენტური აღმოჩნდა. რადგანაც „გრინსერვისს“ ტენდერში კონკურენტი არ ჰყავდა, ეს თანხა (225 000 ლარი) შემდგომში არ შეცვლილა. თბილისის მერიასა და „გრინსერვისს“ შორის ხელშეკრულება 13 მარტს გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, მერიამ კვიპაროსის თითო ნერგში „გრინსერვისს“ 990 ლარი გადაუხადა — სულ 118 800 ლარი 120 ნერგის სანაცვლოდ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გადაწყვიტა დაედგინა, თუ რა ფასს იხდიდა თბილისის მერია მსგავს საქონელში სხვა შემთხვევებში. შედარებისთვის, მერიის მიერ ამა წლის 30 იანვარს ერთ-ერთ მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით ისარგებლეს, რომელიც სხვადასხვა ჯიშის ხის ნერგების შესყიდვის თაობაზე გაფორმდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, მერიამ 5000 ცალი სხვადასხვა ჯიშის ნერგი იყიდა (კვიპაროსი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, კედარი, ფიჭვი, იფანი), ხოლო ერთი ნერგის მაქსიმალური ფასი 30 ლარი იყო, ანუ 33-ჯერ ნაკლები, ვიდრე ბარათაშვილის ქუჩის ტენდერის შემთხვევაში. მერიას ბარათაშვილის ქუჩისთვის მსგავსი ღირებულების ხეები რომ შეეძინა, შესყიდვის საერთო თანხა 118 800 ლარის ნაცვლად 3600 ლარი იქნებოდა.

**ეკა ბაქრაძე**

№87. პარასკევი, 11 მაისი, 2012 წელი.

◎ განსჯა

**პოლიტიკურ ასპარეზზე თავის გამოსვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაში ბიძინა ივანიშვილმა მკაფიოდ გამოკვეთა ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებთანაც იგი აპრიორი გამორიცხავდა თანამშრომლობას ნებისმიერი ფორმით. ეს პოლიტიკური სუბიექტები პირობითად შეიძლება გავმიჯნოთ ერთმანეთისგან კატეგორიების მიხედვით.**

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ოპოზიციის ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის თვალში აშკარა დისკრედიტაცია განიცადა, ოპოზიციურ საქმიანობაზე ფაქტობრივად ხელის აღებისა და ხელისუფლებასთან დაუფარავი თანამშრომლობის გამო (ე. წ. „ქრისტიან-დემოკრატები“, „პადოშა“, გამყრელიძის პარტია და სხვ.ქ. შეიძლება, ითქვას, რომ ამ კატეგორიასთან თანამშრომლობის გამორიცხვა ივანიშვილის მხრიდან გამომდინარეობდა მორალის იმპერატივიდან, მაგრამ გარდა ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება პოლიტიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც გამართლებული იყო. ივანიშვილმა უარი თქვა არაპოპულარულ, ურეიტინგო პარტიებთან თანამშრომლობაზე (თუმცა ხელისუფლება და განსაკუთრებით, ამერიკული ინსტიტუტები ენერგიას არ იშურებენ მათგან ერთის – კერძოდ, „ქრისტიან-დემოკრატთა“ შეფის სახით რეიტინგული პოლიტიკოსის მითის შესაქმნელადძ, რომლებიც საპროტესტო ელექტორატის აბსოლუტურ უმრავლესობაზე გამაღიზიანებლად მოქმედებენ. თავისი გადაწყვეტილებით ივანიშვილმა გამოკვეთა პრინციპული და შეურიგებელი პოზიცია, რომელიც ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულ ურთიერთობას ვერ იგუესხმებდა. მაშასადამე, ივანიშვილის მიერ ამ კატეგორიასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა მორალურადაც და პრაგმატულადაც სწორად უნდა შეფასდეს.

შედარებით სუსტი სვლა ივანიშვილის მხრიდან იყო „ლეიბორისტების“ უცვლელ ლიდერთან თანამშრომლობის გამორიცხვა ნებისმიერი ფორმით, რადგან მისი ეს გადაწყვეტილება უფრო პიროვნული მოტივით იყო ნაკარნახევი, ვიდრე პრინციპული პოლიტიკური მოსაზრებებით. ალბათ ივანიშვილისთვის უმჯობესი იქნებოდა, „ლეიბორისტების“ შემოტევებზე მალლა დამდგარიყო; თუკი ისინი თანამშრომლობას მოისურვებდნენ, ინიციატივა ივანიშვილის ხელში იქნებოდა, ხოლო თუკი მის ლანძღვა-გინებას განაგრძობდნენ, ამით მხოლოდ საკუთარ თავს ავნებდნენ. მაგრამ ივანიშვილმა „ლეიბორისტები“ ფაქტობრივად იმ პოლიტიკურ სუბიექტთაგან ცალკე კატეგორიად გამოჰყო, რომლებთანაც თანამშრომლობა თავიდანვე გამოირიცხა. მართალია, „ლეიბორისტების“ დღევანდელი რეიტინგი არ არის უწინდებურად მაღალი, მაგრამ განსხვავებით პირველი კატეგორიისგან, „ლეიბორისტების“ დადანაშაულება ხელისუფლებასთან პირდაპირ თანამშრომლობაში ძალიან რთულია და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ივანიშვილმა პიროვნული წყენის საფუძველზე მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება და ეს აშკარად გამოჩნდა.

ოდნავ მოგვიანებით ივანიშვილის „შავ სიაში“ პოლიტიკურ სუბიექტთა მესამე კატეგორიაც გაჩნდა – კერძოდ, ის პარტიები და პოლიტიკოსები, რომლებიც მისთვის არა მორალური, ელექტორალური ან პიროვნული (ემოციურიძ თვალსაზრისით, არამედ იდეოლოგიურად აღმოჩნდნენ მიუღებელნი. ბოლო ორ, მაქსიმუმ სამ წლამდე პოლიტიკური პარტიები საქართველოში თითქმის არანაირ ყურადღებას არ უთმობდნენ და მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ იდეოლოგიურ ფაქტორს, მათთვის ფასეულობები მეორე პლანზე იდგა, პარტიების მხრიდან ადგილი არ ჰქონია იდეოლოგიურ ჭიდილს, მიმდინარეობდა მხოლოდ სოციალური დემაგოგია. ივანიშვილმა შედარებით მკაფიოდ გამოხატა თავისი იდეოლოგიური ორიენტირები და განაცხადა, რომ მისთვის გარკვეული იდეური პრინციპები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ტაქტიკური დაახლოება ამ თვალსაზრისით უცხო და მიუღებელ პოლიტიკურ სუბიექტებთან.

ერთის მხრივ ეს სწორი და საჭირო გადაწყვეტილებაა, მაგრამ ცოტა ყურადღებით თუ დავაკვირდებით, იგი თავისი შინაარსით წინააღმდეგობრივია.

# ბურჯანაძე-ივანიშვილის ოპოზიციური თანამშრომლობის აუცილებლობა





კერძოდ, ივანიშვილმა, გამოხატა რა თავისი ერთგულება ე.წ. „დასავლური ფასეულობებისადმი“, „ევროატლანტიკური არჩევანისადმი“ და უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე დამკვიდრებული სხვა მსგავსი სტერეოტიპებისადმი, პარალელურად აღიარა რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების აუცილებლობა, თამამად ამხილა სააკაშვილის რეჟიმის დამღუპველი როლი 2008 წლის აგვისტოს ომის გაჩაღებაში და ა.შ. მართალია, ივანიშვილს და მის გარემოცვას არ გააჩნიათ არგუმენტები და ვერც ექნებათ, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აპირებენ საოცრების მოხდენას და ერთდროულად „ნატოში ინტეგრაციის“ და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მიღწევას, მაგრამ ახლა ამაზე არ გვაქვს საუბარი. მთავარი ამჯერად ისაა, რომ ივანიშვილმა, მართალია, ხელისუფლების ანალოგიური – პირობითად დასავლური ფასეულობები გააჟღერა, მაგრამ იმავე ხელისუფლებისგან განსხვავებით რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე გააკეთა აქცენტი, მოსკოვისადმი ყოველგვარი უტოპიური წინაპირობების („ჯერ დეოკუპაცია, შემდეგ – დიპლომატიური ურთიერთობები“ძ წაყენების გარეშე. ამ დროს კი ირკვევა, რომ ივანიშვილისთვის იდეოლოგიურად მიუღებელი სწორედ ის პოლიტიკური ძალები არიან, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე არიან ორიენტირებული. როგორც ცნობილია, მათ შორის გამოირჩევა ნინო ბურჯანაძე „დემოკრატიული მოძრაობით“. ბურჯანაძისადმი რაიმე სხვა სახის პრეტენზია ვერ იქნა გაჟღერებული, გარდა მისი „პრორუსული“ ორიენტაციისა. მართალია, ივანიშვილის ბანაკიდან დროდადრო გაისმის ბურჯანაძის მიმართ პიროვნული პრეტენზიებიც, მაგრამ არსებითად ბურჯანაძის „დანაშაული“ იმაში მდგომარეობს, რომ იგი პუტინს შეხვდა და რუსეთთან ურთიერთობებზე აკეთებს აქცენტს. სულ ახლახან „ქრონიკაში“ ივანიშვილის სახელით გაჟღერებული პიროვნული პრეტენზიები ბურჯანაძის მიმართ თავად ივანიშვილმა უარყო, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბურჯანაძისადმი ანტაგონისტური დამოკიდებულების იდეოლოგიურ საფუძველს. რა თქმა უნდა, იმის ალბათობა, რომ ბურჯანაძისადმი ივანიშვილის უნდობლობის გაღვივებას ამ უკანასკნელის გარემოცვა ეწევა - ბანალური ვიწროპარტიული ინტერესების გამო, დასაშვებია და ძალიან რეალურიც, მაგრამ ზედაპირზეა ის, რომ ბურჯანაძესთან თანამშრომლობა უფრო იდეოლოგიური სხვაობების მიზეზით არ ხერხდება, ეს იდეოლოგიური სხვაობები კი თურმე რუსეთთან ურთიერთობებია (მით უმეტეს, როცა ივანიშვილი, ბურჯანაძის გარდა არც სხვა „პრორუსულ“ ძალასთან – კუკავასთან არ თანამშრომლობსძ – არადა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ივანიშვილიც მომხრეა ამ კურსის ძირითადი იდეის – რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების უპირობო აღდგენის. რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების თემის გარშემო მას ისევე სჭირდება მოკავშირეები, როგორც „ევროატლანტიკური ინტეგრაციის“ საკითხთან მიმართებაში, მაგრამ იგი რატომღაც ცალმხრივად ანიჭებს პრიორიტეტს „პროდასავლურ“ ძალებთან თანამშრომლობას.

სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ივანიშვილის გადაწყვეტილება, უარი თქვას ბურჯანაძესთან და ზოგადად, პირობითად „პრორუსულ“ ძალებთან თანამშრომლობაზე, წინააღმდეგობრივია და არასწორი. მით უმეტეს, რომ თანამშრომლობა არ ნიშნავს პარტიების შეერთებას. თავად ნინო ბურჯანაძეს არასოდეს გამოუთქვამს სურვილი, თავისი პარტიით შეუერთდეს „ქართულ ოცნებას“ რაიმე სტატუსით, ან თუნდაც ერთი ბლოკის ფარგლებში გამოვიდეს არჩევნებზე. მაგრამ ოპოზიციურ პარტიებს შორის აუცილებელია კოორდინაცია, ურთიერთქმედება საარჩევნო კომისიების, მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატების წარდგენის და კიდევ ბევრი სხვა ტექნიკური საკითხების ფარგლებში. საზოგადოება ითხოვს, რომ რეალურ ოპოზიციურ ძალებს შორის იყოს არა კინკლაობა, არამედ თანამშრომლობა.

საზოგადოებრივი აზრი ასევე ცალსახად ორიენტირებულია რუსეთთან ურთიერთობების აღდგენაზე, მეტიც, დაახლოებაზე ჩვენთვის მენტალურად, ცივილიზაციურად, კულტურულად და რელიგიურად მახლობელ რუს ერთან. ახლახან ევრაზიის ინსტიტუტის სოციოლოგიურმა სამსახურმა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების გამოკითხვა ჩაატარა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად და ცალსახა ციფრები მივიღეთ – რუსეთს სულისკვეთებითა და ისტორიით მახლობელ ქვეყნად გამოკითხულ ქართველ სტუდენტთა 74% მიიჩნევს (და ეს მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება, პირველ ყოვლისა, სწორედ სტუდენტ ახალგაზრდობაში ეწევა გამალებულ ანტირუსულ პროპაგანდასძ. თვით სოროსის ფონდის გამოკითხვების მიხედვით, მათი ეს შედეგები სულ რაღაც ხუთი-ექვსი თვის წინათ გამოქვეყნდა, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი თანახმაა რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებაზე დასავლეთთან თანამშრომლობის საზიანოდაც კი; ხოლო ზოგადად რუსეთთან სამშვიდობო პოლიტიკაზე გადასვლას საქართველოს მოქალაქეთა 80 პროცენტზე მეტი უჭერს მხარს, ამას თვით ყველაზე ტენდენციური ამერიკული „ენდეაი/აირაიებიც“ აღიარებენ. გამომდინარე აქედან, ზედმეტად პროდასავლური იმიჯი ივანიშვილს მხოლოდ ავნებს, მაგრამ არაფერს არგებს, მით უმეტეს, არსებობს რისკი, რომ ეს ზედმეტად პროდასავლური იმიჯი ანტირუსულ იმიჯთან იქნება გაიგივებული. ბურჯანაძესთან თანამშრომლობა არ ნიშნავს იდეოლოგიურ პრინციპებზე უარის თქმას, პირიქით, ივანიშვილის სურვილს, მოგვარდეს რუსეთთან არსებული პრობლემები, მეტი დამაჯერებლობა ექნება როგორც ქართველი ამომრჩევლის, ისე სხვათა შორის, საკუთრივ რუსი პოლიტიკოსების თვალში (ესეც ხომ ისევ საქართველოს ინტერესებშიაძ. ასეთი ტიპის თანამშრომლობა, რომელიც წინასაარჩევნო ქმედებების კოორდინაციას გულისხმობს და არა ერთმანეთში აღრევას, არც დასავლეთისთვის იქნება მიუღებელი. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ საქმე გვაქვს ივანიშვილის გარემოცვის ნაწილის ბოროტ განზრახვასთან, თუმცა თავად ბატონი ბიძინა უნდა მიხვდეს ამას და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. მას რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ძალუძს, ცნობილია და პრაქტიკაში დადასტურებულიც. იმედია, იგი არც ამჯერად შეცდება.

მაგრამ იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ივანიშვილი, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ე. წ. „მესამე პოლიტიკური პოლუსი“, რომელიც სწორედ იდეოლოგიურად დგას მყარად, მართლმადიდებლური ეროვნული ფასეულობების ბაზაზე, ჩამოყალიბდეს ერთი ალიანსის სახით. ასეთი ალიანსის ჩამოყალიბება შეუძლიათ ნინო ბურჯანაძესა და კახა კუკავას. მისასალმებელია, რომ ორივე ეს პოლიტიკოსი ამგვარ შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

**გულბაათ რცხილაძე,**
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

◎ ნაციონალთა კაპრიზები

# ერთდღიანი კანონპროექტი

**ივანიშვილს მოქალაქეობის მიღების გარეშე მხოლოდ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება ექნება. ხელისუფლებამ ეს გადაწყვეტილება ერთ დღეში მიიღო, თუმცა მიზეზები არ დაუსახელებია. სამაგიეროდ, ცალსახად ითქვა, რომ ეს ცვლილება მხოლოდ ივანიშვილისთვის კეთდება.**

ცხადია, ეს აქამდეც ცნობილი იყო, მაგრამ ასე ღიად განცხადება ხელისუფლებამ პირველად ახლა გააკეთა. აქამდე აპელირება იმაზე ხდებოდა, რომ ეს გადაწყვეტილება საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის იქნებოდა მიღებული, რომლებიც დაბადებით ქართველები არიან და დღეს მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეობა აქვთ.

**„არავის, არც „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ და არც საპარლამენტო უმრავლესობიდან არ დაუმალავს, რომ ცვლილების პროექტის მომზადება იმ ერთადერთ მიზანს ემსახურება, რომ იმ ადამიანს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობაზე 2-ჯერ უარი თქვა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს“,** — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის, რაც ამ პროექტში წერია, მხოლოდ ივანიშვილისთვის არის გათვალისწინებული და ისიც, რაც ამოილეს, იმიტომ ამოილეს, რომ ამით ივანიშვილს არ ესაუბრა.

ამ შემთხვევაში აღარ არის საუბარი თვად ინიციატივის კანონიერება-უკანონობაზე. ამაზე ამ ერთი თვის განმავლობაში ძალიან ბევრი ითქვა და ცნობილია, რომ ეს კონსტიტუციონალიზმის პრინციპს არღვევს და ამის ნაცვლად სააკაშვილს მისთვის უბრალოდ მოქალაქეობა უნდა მიეცა.

ახლა საინტერესო უკვე ის არის, თუ ამ ბოლო ორი დღის განმავლობაში მოვლენები როგორ ვითარდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ეს ინიციატივა მას შემდეგ იქნა ინიცირებული, რაც ხელისუფლებამ 4 აპრილს ბიძინა ივანიშვილს ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე უარი უთხრა. ამის შემდეგ საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებმა“ ხელისუფლებას შესთავაზეს, რომ ივანიშვილის მიერ არჩევნებში მონაწილეობის მიღების პრობლემა იმით გადაეწყვიტათ, რომ მას მოქალაქეობის გარეშე ჰქონოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს დღეს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება არ გააჩნიათ.

კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის პროცედურა ერთთვიან საზოგადოებრივ განხილვას ითვალისწინებს, სადაც ცვლილებასთან დაკავშირებით ხდება საზოგადოების მხრიდან საკუთარი შენიშვნების დაფიქსირება. ამის შემდეგ კი იწყება უკვე საპარლამენტო განხილვა.

კანონპროექტის თავდაპირველი ვარიანტით ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე საქართველოში დაბადებულ პირს, რომელსაც ათი წელი მაინც უცხოვრია საქართველოში, მხოლოდ პასიური საარჩევნო ხმის უფლება უნდა ჰქონდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მხოლოდ არჩევნებში კენჭისყრის შესაძლებლობა ექნებოდა.

იხ. 4 გვ.

ნაციონალთა კაპრიზები

# ერთდღიანი კანონპროექტი

(მესამე გვერდიდან)

ორშაბათს საყოველთაო სახალხო განხილვის კომისიის შემაჯამებელი სხდომა გაიმართა, რის შემდეგაც ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მუხლი კონსტიტუციაში გარდამავალ დებულებად ჩაიწერება და ის მხოლოდ სამი წლის განმავლობაში იმუშავებს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კი, რომელიც საზოგადოებრივი განხილვის კომისიის სხდომის შემდეგ გაიმართა, აღნიშნულმა მუხლმა კიდევ ერთი ცვლილება განიცადა. კერძოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში არიან დაბადებული და საქართველოში ათი წელი მაინც უცხოვრიათ, როგორც პასიური, ისე აქტიური საარჩევნო უფლებაც ექნებათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ როგორც არჩევნებში კენჭისყრის, ასევე ხმის მიცემის უფლებაც ექნებათ.

რომ ის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას ველარ მიიღებს, თუკი იმ დროისთვის არ ექნება საქართველოს მოქალაქეობა, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წელს უნდა გაიმართოს.

ამასთან, სწორედ გუშინ შეიცვალა საქართველოში ცხოვრების ათწლიანი ცენზიც. აქამდე ნათქვამი იყო, რომ ასეთ პირს საქართველოში საერთო ჯამში უნდა ჰქონოდა 10 წელი ნაცხოვრები. ახლა კი ჩაწერეს, რომ მას საქართველოში ბოლო ათი წელი უნდა ჰქონდეს ნაცხოვრები.

„ქრისტიან-დემოკრატები“ კი მიიჩნევენ, რომ ათწლიანი ცხოვრების ცენზი, რაც პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტშია, გაუმართლებელია და მის სამ წლამდე შეცვლას ითხოვენ, როგორც ეს იმ პროექტში იყო გათვალისწინებული, რომელიც სესიაზე საკითხის განხილვისას გავიდა.



ასევე გაჩნდა ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვით ასეთი უფლებების მოპოვებისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოშია დაბადებული და ათი წელი მაინც უცხოვრია საქართველოში, ბოლო სამი წლის განმავლობაში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. აღნიშნული მუხლი 2015 წლის პირველ იანვრამდე იმუშავებდა.

კენჭისყრის წინ ეს ფორმულირება ისევ შეიცვალა და საბოლოოდ პირველი მოსმენით დამტკიცდა ფორმულირება, რომ „2014 წლის პირველ იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 10 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა“.

პირველი მოსმენით მიღებული ნორმა ივანიშვილს საშუალებას აძლევს, რომ მონაწილეობა მიიღოს როგორც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო, ისე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში. თუმცა, გარდამავალი ნორმის მოქმედების ვადა იმას ნიშნავს,

ეს პროექტი პირველი მოსმენით 112 ხმით დაამტკიცა პარლამენტმა ისე, რომ უარყოფითი ხმა არავის არ მიუცია. თუმცა, საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ამ ცვლილებებს სიტყვიერად ეწინააღმდეგება. გიორგი თარგამაძე ამბობს, რომ მისმა ფრაქციამ საკითხს პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა იმის გამო, რომ იდეა მათ ეკუთვნოდათ. თუმცა მათთვის მიუღებელია ათწლიანი ცენზი და მეორე მოსმენით განხილვისას დააყენებენ საკუთარ ალტერნატიულ წინადადებას, რომელიც სამწლიან ცენზს ითვალისწინებს.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საკითხი შეიცვალოს, რადგან გუშინ პავლე კუბლაშვილმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ უმრავლესობა ამ კანონპროექტს მხოლოდ იმ პირობით მიიღებდა, თუკი ჩაიწერებოდა ის, რომ „საპარლამენტო, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ექნება პირს, რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე, დაბადებულია საქართველოში და ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრობდა. ცვლილება 2014 წლის 1 იანვრამდე იმოქმედებს“.

**თეონა ხარაბაძე**

ინფორმაცია

### რუსული მედიის ცნობით, ბიძინა ივანიშვილმა ბანკი „რუსული კრედიტი“ 352 მლნ დოლარად გაყიდა

**ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო „ინტერფაქსი“ ბანკზე დაყრდნობით აცხადებს.**

**სააგენტოს ცნობით, ივანიშვილის დეველოპერულმა კომპანია „უნიკორმა“ კერძო ინვესტორებთან შესაბამის შეთანხმებასაც მოაწერა ხელი. მყიდველებს შორის არიან: აი-ტი კომპანიის პრეზიდენტი გეორგი გენსი, ბანკ „გლობექსის“ ყოფილი მესაკუთრე ანატოლი მოტილევი, სადაზღვევო კომპანიის „Спасские ворота“ ექს-მფლობელი ბორის ჰაიტი, ასევე კერძო პირები: ბორის პასტუხოვი, ვიქტორ ლუკიანოვი, ვლადიმერ ფაეროვიჩი.**

**როგორ გადანაწილდა მყიდველებს შორის აქციები, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.**

ინტერპრესი

პოლიტიკა ხალხმა უნდა შექმნას!



# რატომ ვუჭერ მხარს პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“

საქართველოში ჩამოყალიბებული ავტორიტარული ნეოლიბერალიზმი არა მხოლოდ ადამიანთა ჩაგვრით, ექსპლოატაციითა და მათი ბედნიერების ხელყოფით გამოირჩევა, არამედ ასევე გამოირჩევა იდეოლოგიური ჰეგემონიის სწრაფად კულტივირებითა და მუდმივი გაძლიერებით, ასევე სტრატეგიული რესურსების მძლავრი აგრეგაციით და მონოპოლიზაციით იდეოლოგიური ჰეგემონიის მიზნით, მათ შორის პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ფინანსური და სხვა მნიშვნელოვანი რესურსებისა. ავტორიტარული ნეოლიბერალიზმი საქართველოში ყველა რესურსის მიტაცებით არ უტოვებდა არანაირ შანსს ოპოზიციას, მოეხდინა არსებული იდეოლოგიური ჰეგემონიის დემასკირება და ნეოლიბერალური პროპაგანდული რეპრესიული აპარატის მიერ გავრცელებული ყალბი ცნობიერების თუ იდეოლოგიის დეკონსტრუქცია. რეჟიმი ცდილობდა და ცდილობს, გადარჩეს, ამ მცდელობაში კი იგი უფრო და უფრო იყენებს რეპრესიულ მეთოდებს, თუმცა რამდენადაც ძლიერდება მისი რეპრესიული აპარატი მით უფრო იზრდება რეჟიმის კოლაფსის აჩრდილი საქართველოში. მაშასადამე, აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი ანტისისტემური წინააღმდეგობისა.

არსებული ნეოლიბერალური სახელმწიფო საქართველოში და ავტორიტარული კაპიტალიზმი არის მოქალაქეებზე ძალადობის არნახული გამოვლინება, დღეს თანამედროვე ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებობს არა სოციალური კონტრაქტი, არამედ ეს არის მანიფესტირება და ღრმა ექსპრესია ურთიერთობისა მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის, სახელმწიფო წარმოადგენს უმთავრეს მჩაგვრელ ინსტიტუტს დღეს. სახელმწიფო წარმოადგენს იმ რეპრესიულ სტრუქტურას, რომელსაც აძლიერებს მთელი რიგი შიდა და გარე რესურსები თუ ძალები.

ფრანგმა ფილოსოფოსმა ლუი ალთჰუსერმა მის კრიტიკულ თეორიაში სახელმწიფო აპარატის შესახებ გამოყო ორი ფუნდამენტური განზომილება სახელმწიფო აპარატისა: რეპრესიული სახელმწიფო აპარატი და იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი, განსხვავება ამ ორს შორის არის ის, რომ პირველი ანუ რეპრესიული სახელმწიფო აპარატი წარმოადგენს პირდაპირი ძალადობის ინსტრუმენტს ანუ აღჭურვილია ძალადობის ფუნქციით, მაშინ როდესაც მეორე ანუ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი წარმოადგეს იდეოლოგიური ფუნქციის ეგზეკუტორს, ორივე შემთვევაში სახელმწიფო აპარატი ემყარება მხოლოდ ორ უმთავრეს ფუნქციას: განავრცოს ძალადობა და იდეოლოგია. ალთჰუსერისეული კრიტიკული დესკრიპცია სახელმწიფო აპარატისა ძალიან კარგად თავსდება თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ბუნებასა და სტრუქტურაში.

დღეს საქართველოში, ნეოლიბერალური სახელმწიფო და სახელმწიფო ძალაუფლება მთლიანად დაცულია როგორც რეპრესიული სახელმწიფო აპარატით ასევე იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატით. სახელმწიფო, ცდილობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, სოციალური დარვინიზმისა და რადიკალური ინდივიდუალიზმის გაფეტიშებითა და მითოლოგიზაციით განავრცოს თავისი ყალბი იდეოლოგია, მითები და უამრავი სტერეოტიპები, რათა ხალხი საბოლოოდ გამოამწყვდიოს ესკაპიზმში. იდეოლოგიური ჰეგემონიის თუ დომინირების პროცესი მიმდინარეობს როგორც ძალადობით (რეპრესიული სახელმწიფო აპარატიდან) ასევე იდეოლოგიური პროპაგანდის გზით ანუ მე ამას დავარქმევდი პოსტკომუნისტური ნეოლიბერალური პროზელიტიზმით (იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატი). მაშასადამე, თანამედროვე ქართული ნეოლიბერალური სახელმწიფო არის როგორც ძალადობის ასევე იდეოლოგიური ჰეგემონიის მწარმოებელი.

ბიძინა ივანიშვილის მიერ აქტიურ წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში ჩართვა არის მოქალაქის მორალური ვალდებულების გამოვლინება და იმ სამოქალაქო-პოლიტიკური იდეალის დაცვა, რაც ავალდებულებს მოქალაქეს, ჩაერთოს საკუთარი ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში. ივანიშვილის ჩართვა პოლიტიკაში და კოალიცია „ქართული ოცნების“ გამოჩენა ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს ნეოლიბერალურ სახელმწიფოს საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებაში.

ახლა გამოვყოფ ორ მიზეზს იმისა თუ რატომ ვუჭერ მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას“

პირველი, ბიძინა ივანიშვილმა შესძლო, მოეხდინა რეალური ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია ხელისუფლების წინააღმდეგ, დაასრულა პესიმისტური განცდები როგორც სოციალურ ასევე პოლიტიკურ სივრცეში, იყენებს უმნიშვნელოვანეს რესურსებს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში და რაც მთავარია, მას როგორც მოქალაქეს (რომელიც მაღალი ნდობის ხარისხით და რეპუტაციით სარგებლობს ხალხში) გააზრებული აქვს მისი მოქალაქეობრივი ვალდებულება, აქტიურად ჩაებას მჩაგვრელი სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. კოალიცია „ქართული ოცნება“ დღეს წარმოადგენს ყველაზე საშიშ პოლიტიკურ გაერთიანებას მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმისათვის და ყველაზე საიმედო გაერთიანებას დაჩაგრული ხალხისთვის. მაშასადმე, კოალიციის ეშინიათ მჩაგვრელებს ხოლო ეიმედებათ ჩაგრულთ.

მეორე, მე მხარს ვუჭერ ბიძინა ივანიშვილს და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რადგან მჯერა, რომ კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოში ჩამოყალიბდება რეალურად მრავალპარტიული სისტემა და ამით ბოლო მოეღება ხანგრძლივ ერთპარტიულ ჰეგემონიას საქართველოში, რაც თავისთავად ნიშნავს იმას რომ საქართველოში დასრულდება პოლიტიკური ტერორი, ადამიანთა დევნა, ჩაგვრა, წამება, დისკრიმინაცია და ასე შემდეგ. გაიხსნება ამჟამად ჩაკეტილი პოლიტიკური სივრცე, რა დროსაც პოლიტიკურ სისტემაში გამოჩნდებიან სხვადასხვა იდეოლოგიური პლატფორმის მქონე ძალები, რაც შექმნის სერიოზულ საფუძვლებს და პერსპექტივებს მრავალპარტიული, ევროპული დემოკრატიის განვითარებისათვის საქართველოში. ამასთანავე, ვხედავ რა თუ რა საკითხებია სტრატეგიული კოალიციისთვის (სოფლის მეურნოება, შრომის პოლიტიკა, პასუხისმგებლიანი სახელმწიფო, სოციალური სამართლიანობა და სოლიდარობა), მაფიქრებს და მარწმუნებს იმაში, რომ კოალიციის გამარჯვების შემთხვევაში დასრულდება ადამიანთა დაშინება, ჩაგვრა და ნეოლიბერალური ჰეგემონია და შესაბამისად მოხდება ნეოლიბერალური სახელმწიფო აპარატის მიერ ჩაგრულ მოქალაქეთა ემანსიპაცია და ჩვენ ერთად ჩავებმებით ჩვენი, ყველას საერთო ბედნიერებისათვის ზრუნვის პროცესში, ამასთანავე, სახელმწიფო იქნება არისტოტელესეული გაგებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, სადაც პოლიტიკას შევქმნით ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი.

**ბაქარ ბერეკაშვილი,**
„european.ge“
ვარშავა, 2012 წლის მაისი

# „პოშლოსტად“ მიჩნეული გამარჯვების პარადი

„პოშლოსტ“ – ასე შეაფასა RTVI-ს ჟურნალისტმა სამსონოვამ გამარჯვების პარადის ჩატარების იდეა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა აღნიშნული ებრაული ტელეკომპანიის ანტისაბჭოური, ანტირუსული განწყობა.

ტელეკომპანიის ჟურნალისტები და იდეოლოგიური თვალსაზრისით, მისთვის შესაფერისი სტუმრები, ჩვეული გულმოდგინებით ქოქოლას აყრიდნენ არა მარტო გამარჯვების პარადს, არამედ ხელისუფლებას ესოდენ დიდი „ჩამორჩენილობისათვის“ – რაღა დროს ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულია – დღეს სხვას უნდა ვზეიმობდეთო.

ტელეკომპანიას, ცხადია, არც 7 მაისის – პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე გაუშვია უქილიკოდ – ამდენი ფულის ხარჯვის ნაცვლად უკეთესი იყო ხალხს დახმარებოდნენო, – აცხადებდნენ ხალხისათვის „დამაშვრალი“ ჟურნალისტ-ექსპერტები.

RTVI-ის ტელეკომპანიაა, რადიო „ეხო მოსკვისთან“ ერთად 24-საათის განმავლობაში რომ ზიზღით აგინებს არა მარტო რუსეთის ხელისუფლებას, არამედ ყველაფერ იმას, რაც ამ ქვეყნის ისტორიას ან ყოფას უკავშირდება. მაგრამ მიუხედავად უკიდურესი სუბიექტურობისა, ორივე არხისთვის აუგი სიტყვაც არავის შეუბედავს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ კრიტიკის, ხშირად სუბიექტური ლანძღვის ამტანობის მიხედვით, რუსეთის ხელისუფლება გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე თუნდაც „დემოკრატიულად“ შეფასებული დასავლეთის მთავრობები, საქართველოზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ქართველი ჟურნალისტი გოგო-ბიჭებისა და არანაკლებ ყვინჩილა „პოლიტიკოსების“ გამონათქვამების მიხედვით, რუსეთში მძვინვარე დიქტატურაა და მას კარგა ხანს არაფერი ეშველება. მათი მოსაზრება ამ მხრივ ასლია ებრაული ტელეკომპანიისა და „ეხო მოსკვის“, აგრეთვე ე.წ. რუსი ლიბერალების იდეოლოგიის.

დამფინანსებელიც და სულიერი მოძღვარიც ერთი ჰყავთ – „დემოკრატიული“ აშშ-ის სახით, რომელიც გამადიდებელი შუშით დაჰყურებს მთელს მსოფლიოს და „მკაცრად“ აფასებს სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის „დემოკრატიულობას“. მერე რა, რომ ამ შეფასების დროს ზოგს უმოწყალოდ სჯის, ზოგსაც თავზე ხელს უსვამს, ცხადია ავანსად - წასახალისებლად.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა შუაშია აშშ, ვინ მიანიჭა მას მსოფლიო არბიტრის ფუნქცია? ქვეყანამ, რომელმაც 21-ე საუკუნეში ორი ომით შეაბიჯა და რომლის ჯარისკაცების თავხედობას საზღვარი არ აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ქვეყანა, რომელიც თვალს ხუჭავს, უფრო სწორად ახალისებს საკუთარი ხალხის დამბეჩავებელ საქართველოს ხელისუფლებას; ქვეყანა, რომელიც თავის მოკავშირეებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის აფრიკაში, დაუნდობლად ძარცვავს ადგილობრივ მოსახლეობას, სხვათა დემოკრატიულობის შეფასებაში გაცილებით თავშეკავებული უნდა იყოს.

დასავლურმა „დემოკრატიამ“ დიდი ვერაფერი შეღავათი მისცა თუნდაც აფრიკის ქვეყნებს, სადაც გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო კოლონიალიზმისგან განთავისუფლება. აფრიკის ხალხებმა უცხოელთა უღელს თავი კი დააღწიეს, მაგრამ დასავლეთის „დემოკრატიით“ ზურგგამაგრებულ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკოსთა უღელს ვერაფერი მოუხერხეს და იქიდან მოყოლებული დღემდე იბრძვიან განთავისუფლებისთვის.

კონტინენტის ჩრდილოეთით, არაბულ ქვეყნებში მიმდინარე პროცესი აშკარა დამადასტურებელია ამისა.

დასავლეთი, რომელიც დეკოლონიზაციამდე საკუთარი ხელით წყვეტდა კოლონიების ბედს, დღეს, ადგილობრივი პოლიტელიტის ხელით აგვარებს სათავისო საკითხებს, თანაც ყბადაღებული მტკიცებით, რომ ის არაფერ შუაშია, რომ ის არ ერევა სხვათა საშინაო საქმეებში და სხვა. შორი მაგალითების მოყვანა არც არის საჭირო, როდესაც საკუთარ ქვეყანაში არსებული მსგავსი მაგალითებიც უხვად არის.

ამას წინათ ტელეკომპანია „ევრონიუსზე“ კონგოელი დაზარალებული ქალბატონი ყვებოდა იქაური შეიარაღებული ფორმირების ალვირახსნილობაზე – როგორ გააუპატიურეს მის თვალწინ ქალიშვილები, შემდეგ მოუკლეს მეუღლე და თავისი მოჭრილი პენისი შეაჭამეს, ბოლოს, მოკლული მეუღლის გვამზე გააუპატიურეს. და ამ საზარელ ისტორიას ისმენს მსოფლიო, მათ შორის გუშინდელი კოლონიზატორი და დღევანდელი ხელისუფლების სტრატეგიული პარტნიორი.

კონგოელი ქალის საზარელმა ამბავმა, გასული საუკუნის განუკითხაობის პერიოდი გამახსენა – მხედრიონთა სისხლიანი თარეშით, არანაკლები „საგმირო“ საქმეებით. დღეს, მხედრიონის დამაარსებელი პანთეონში განისვენებს, ხოლო მისი აქტიური თანამებრძოლნი აღმასრულებელ-საკანონმდებლო ხელისუფლებაში არიან. ზოგი, ქალბატონი გუგეშაშვილის სახით, „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან მოძღვრავს ერს. და ეს ყველაფერი ხდება უზომოდ „დემოკრატი“ სტრატეგიული პარტნიორის თვალწინ.




დემოკრატიულობის შემფასებლად არ გამოდგება ქვეყანა, რომელიც თავის პოლიტიკას მხოლოდ ორმაგ სტანდარტებზე აგებს. ამ სტანდარტის მიხედვით, სააკაშვილის საქართველო დემოკრატიულია, რუსეთ-ბელორუსი – არა. სააკაშვილის რეფორმები მსოფლიო მნიშვნელობისაა, რუსეთ-ბელორუსმა ამ მხრივ მისგან უნდა ისწავლონ და სხვა. სოციალურ საკითხებზე ხომ ხმას არავინ იღებს – პრინციპით – „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“.

ერთი სიტყვაც კი არავის დასცდენია, არადემოკრატიული დსთ-ის სივრცეში რატომ არის პენსიები უფრო მეტი, ვიდრე საქართველოში. ავიღოთ თუნდაც ავადხსენებული რუსეთი, სადაც პენსიის ქვედა ზღვარი 400 დოლარიდან იწყება და დამსახურებიდან გამომდინარე, შესაბამისად იზრდება. თვალი შევავლოთ სოციალური დახმარების სხვა საკითხებს, მედიკამენტებით უზრუნველყოფას და სხვა. ცხადია, სოციალური დახმარებით რუსეთი ჩამოუვარდება დასავლეთს, მაგრამ გაცილებით უკეთ გამოიყურება, ვიდრე სხვა ქვეყნები, მათ შორის დასავლეთის ნაქები საქართველო.

რუსეთის მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია, მასთან შედარებას, თანაც არაკვალიფიციურს, სისტემატურად აქვს ადგილი ქართულ მედიაში ქართველი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მხრიდან. რუსეთი ცუდია, საქართველო – კარგი, ამას გვინერგავს სააკაშვილი და არა მარტო ის, არამედ სტრატეგიული პარტნიორი.

გასულ კვირას ვილნიუსში გამართული შეხვედრის დროს, რომელსაც „დემოკრატიული“ ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და არადემოკრატიული რუსეთის, „დემოკრატმა“ ოპოზიციონერმა ნემცოვმა, აშშ-ის სენატორმა მაკკეინმა მორიგი ანტირუსული რიტორიკით შეახსენეს ყველას ამ ქვეყნის ხელისუფალთა, განსაკუთრებით პუტინის მზაკვრობა. სენატორის შეგონებანი რამდენჯერმე გადაიცა სამივე „რუსთავის“ მიერ.

ტელეკომპანია RTVI და საქართველოს ხელისუფალთა მიზნები მჭიდროდ არის ერთმანეთზე გადახლართული. ტელეკომპანია საქართველოსთან მიმართებაში ვაშინგტონის დავალებას პირნათლად ასრულებს – ადიდებს რა სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას. მარტო ნოვოდვორსკაია ან ლატინინა რად ღირს? საქართველოც ვალში არ რჩება – ლანძღავს და ლანძღავს რუსეთის წარსულსა და აწმყოს, ამასთანავე – საკუთარ წარსულს. მასაც ისე, როგორც ტელეკომპანიას, „პოშლოსტად“ მიაჩნია გამარჯვების პარადი. ასეთი პარადები მხოლოდ ჩამორჩენილ კომუნისტურ ქვეყნებში – ჩრდილოეთ კორეასა და კუბაზე იმართებაო, – ამტკიცებდა ერთი ქართველი „ექსპერტი“. არადა სამხედრო პარადები ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოს ქვეყნებში.

წარსულის დისკრედიტაციის კურსისთვის ხელის შეწყობა დასავლელთა მთავარი მიზანია, ვინაიდან ჰეროიკული ისტორიის გაბიაბრუება, საზოგადოების საკუთარი ისტორიისადმი ანტაგონისტურად განწყობა, თავისთავად ქმნის თვით ამ საზოგადოების დაცემის ნოყიერ ნიადაგს. სხვას ვერაფერს დაარქმევ საქართველოს ხელისუფალთა და „რუს“ ლიბერალთა ანტისტალინურ მარშს, რაც განსაკუთრებული აქტიურობით ხდებოდა 9 მაისამდე.

იხსენებდნენ ყველას, ვინც ოდესმე ლანძღა სტალინი, მათ შორის არ გამორჩათ გენერალი ვოლკოგონოვი, რომელიც თავის წიგნში აღნიშნავდა: „მისი დილეტანტური და არაკომპეტენტური ხელმძღვანელობა გამოიხატა, უპირველეს ყოვლისა, კატასტროფულ მატერიალურ და ადამიანურ დანაკარგებში. უმაღლესმა მთავარსარდალმა, რომელიც ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ ძალებს, მიიყვანა ისინი გამარჯვებამდე არნახული დანაკარგებით...“

ძნელია დაუჯერო ვოლკოგონოვს, როდესაც არსებობს სხვათა შეფასებებიც, მათ შორის ისეთი დიდი პოლიტიკოსის, როგორიც იყო ჩერჩილი. „რუსეთისთვის უდიდესი ბედნიერება იყო, რომ უმძიმესი გამოცდის ჟამს, მას ხელმძღვანელობდა გენიოსი, ქედუხრელი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო დიდი პიროვნება, არაჩვეულებრივი ენერგიის, ერუდიციის, უდრეკი, მკაცრი ხასიათის მატარებელი“, –

გავიხსენოთ პრეზიდენტ რუზველტის ვაჟიშვილის ელიოტის შთაბეჭდილება სტალინთან დაკავშირებით თეირანის კონფერენციის დროს. „სტალინმა ლაპარაკი დაიწყო, თან მე და მამას მაგარი თამბაქოს რუსული პაპიროსები შემოგვთავაზა – ორდიუმიანი მუყაოს მუნდშტუკით. მივხვდი, რომ მიუხედავად მისი დაბალი ხმისა, მშვიდი მეტყველების და დაბალი ტანისა, მასში უზარმაზარი ენერგია იყო დაფარული. ის, როგორც ეტყობოდა, თავდაჯერებულობისა და თავშეკავების კოლოსალურ მარაგს ფლობდა. ვუსმენდი სტალინის მშვიდ ლაპარაკს, ვაკვირვებოდი მის უეცარ დამაბრმავებელ ღიმილს და ვგრძნობდი თვით მის სახელში ჩადებულ სიმტკიცეს – „სტალ“.

„ამ კაცმა იცის, როგორ იმოქმედოს. მიზანს ყოველთვის თვალწინ ხედავს. მასთან მუშაობა – ერთი სიამოვნებაა. არანაირი მიდებ-მოდება, საკითხს, რომლის განხილვაც სურს, პირდაპირ აყენებს და თემიდან არ უხვევს“, – პრეზიდენტი რუზველტი.

რუზველტის გარდაცვალების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა აშშ-ის პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. აშშ-ის რეაქციული პოლიტიკური კურსის შედეგად წინა პლანზე წამოიწია ჰეგემონიზმის იდეა, მსოფლიო პირველობის თემა და ამ გზაზე ომისდროინდელი მოკავშირის დისკრედიტაცია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აშშ-ის სათავეში სხვადასხვა ყაიდის პრეზიდენტები ცვლიდნენ ერთმანეთს, იცვლებოდნენ საბჭოთა ლიდერებიც. ისტორიას ჩაბარდა საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკი, საბჭოთა ქვეყანა კაპიტალისტურად გადაკეთდა. მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში ჩადებული ურთიერთუნდობლობის მუხტი და ამერიკულ მტრობაზე დაფუძნებული ჰეგემონიზმი უცვლელი დარჩა. უცვლელი დარჩა ის მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა დიდთა შორის საომარი დაპირისპირების საქმეში თავის შეკავებას.

ელიოტ რუზველტი წერს: „მამამ და სტალინმა მოიწონეს დიდი სამეულის ქვეყნებისთვის ვეტოს უფლების მიცემის იდეა. თავიანთ არგუმენტაციას იმ უბრალო და ნათელ ფაქტებზე ამყარებდნენ, რომ მშვიდობის შენარჩუნება მხოლოდ იმ პირობით იქნება შესაძლებელი, თუ ძლიერი სახელმწიფოები ერთსულოვნებას შეინარჩუნებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ორი წაეკიდებოდა მესამეს ან ერთი დანარჩენ ორს – მშვიდობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა. მხოლოდ ერთსულოვან მოქმედებას და ერთიან მიზანს შეეძლო მსოფლიოს გადარჩენა“.

იმჟამინდელ ლიდერებს, მათ შორის ცხადია სტალინს, ფაშიზმზე გამარჯვების გარდა, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინათ, საკმარისი იქნებოდა მათი სახელების უკვდავყოფისთვის. მაგრამ მათ არა მარტო ეს შეძლეს, არამედ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაც მოახერხეს. სწორედ ამ წესრიგს ეფუძნება საყოველთაო მშვიდობა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ინფორმაცია

### ედპ დიასახლისის სოციალური სტატუსის შემოღების ინიციატივით გამოდის

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩახვაძემ განაცხადა, „ეროვნულ-დემოკრატების“ ინიციატივა გულისხმობს, რომ ქალები, რომლებსაც აქვთ ოჯახები და ჰყავთ ერთი ან მეტი შვილი, არ არიან დასაქმებულები, სურვილის შემთხვევაში მიიღებენ დიასახლისის სოციალურ სტატუსს. მისივე თქმით, დიასახლისის სოციალური სტატუსის მქონე ქალები გაუთანაბრდებიან საჯარო მოხელეებს, მიიღებენ ყოველთვიურ ფულად ანაზღაურებას, რომლის ოდენობა დამოკიდებული იქნება შვილების რაოდენობაზე.**

**„დიასახლისის სოციალური სტატუსის მქონე ქალბატონები მიიღებენ უფასო სამედიცინო დაზღვევას და ასევე საპენსიო ასაკის დადგომისას, მიიღებენ არა მინიმალურ, არამედ შრომით პენსიას“, – განაცხადა ჩახვაძემ. მისი თქმით, აღნიშნული ინიციატივის რეალიზება უზრუნველყოფს ოჯახების სიმტკიცეს, მატერიალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.**

ინტერპრესი

◎ წინადადება

# რათა გლეხმაც იხეიროს და ბიუჯეტმაც

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს

**ბატონო დავით, თქვენდამი მიმართვა მიმდინარე წლის 12 აპრილს თქვენი სატელევიზიო გამოსვლის მოსმენამ გადამაწყვეტინა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პრობლემები, რომლებიც აწუხებს და აღელვებს გლეხებს, გადავჭრათ და ამით მათ დავეხმაროთ, — ბრძანეთ თქვენ მაშინ. სწორედ ამან გადამაწყვეტინა, მოგმართოთ წინადადებით, რომ საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლში შევიდეს სათანადო ცვლილება.**

რას ვგულისხმობ? იმას, რომ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 პუნქტის შეღავათებით ვსარგებლობთ, სახელმწიფომ შექმნას მცირე მეწარმის დახმარების ინსპექცია, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში დაეხმარება გლეხებს პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ კუთვნილი თანხის მიღებაში. მერწმუნეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი მაღაზიის მეპატრონე აწვალებს და ატყუებს გლეხებს ფულის გადახდისას. ჰოდა, სასურველია ამ შემთხვევაში დახმარების ინსპექცია ჩაერიოს თანხის ამოღებაში: მაგალითად, თუ 10 დღის განმავლობაში მაღაზია არ გადაუხდის თანხას მეწარმეს, მაღაზია დაჯარიმდეს გადასახდელი თანხის ორმაგი ოდენობით, ხოლო კიდევ 10 დღის გადაცილებისას გადასახდელი თანხა გასამმაგდეს.

**და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მეწარმემ ნებისმიერ შემთხვევაში მიიღოს მხოლოდ თავისი კუთვნილი თანხა, დანარჩენი კი ბიუჯეტში ჩაირიცხოს. ამით მეწარმეც იხეირებს და ბიუჯეტიც.**

ამ წინადადებას საკუთარი მწარე გამოცდილებითაც გთავაზობთ: ვარ მევენახე, მაქვს 1,5 ჰექტარი ვენახი, საიდანაც მოწეული ყურძნით ვაწარმოებ „საფერავს“ და ვაბარებ მაღაზიებსა და რესტორნებში. მართალია, ბევრი მათგანი რეალიზაციის შემდეგ თანხას დროულად მიხდის, მაგრამ ზოგიერთი პირდაპირ სისხლს მიშრობს. მაგალითად, 2011 წლის სექტემბერში შარდენის ქუჩა №18 მიშა გადელიას ჩავაბარე 110 ბოთლი ღვინო. თითო ბოთლი 12 ლარად, სულ 1320 ლარისა. მან ერთი ბოთლი გაყიდა 45 ლარად. ე.ი. 4950 ლარისა, ანუ თითქმის 300-პროცენტიანი დანამატით (რა დონის გაუმაძღარია, თავად განსაჯეთ). მე არანაირი პრეტენზია არ მქონდა ამ 4950 ლარზე, ვთხოვდი მხოლოდ ჩემს კუთვნილ 1320 ლარს, რომელიც დიდი ხნის წვალების შემდეგ გადამიხადა. ა. წ. თებერვალში ისევ ჩავაბარე ღვინო იმავე მაღაზიას. გაყიდა, თანხას კი არ მიხდის, როგორ მოვიქცე?




დარწმუნებული ვარ, იტყვით, რა უნდა ქნა და, არ მიუტანოო. მაგრამ თუ არც იქ მივიტან და არც სხვაგან, სად გავყიდო ნაწარმი? იტყვით იმასაც, სასამართლოს მიმართეო! ეს შეუძლებელია, რადგან გლეხს 20 ადგილზე რომ აქვს ჩაბარებული საქონელი გასაყიდად და აქედან 7 ასე ექცევა, 7-ჯერვე სასამართლოში ვერ წავა, რადგან მას არც ამის ფინანსური საშუალება აქვს და არც დრო — იგი ერთთავად მიწას ეჭიდება.

თბილისის ავტობუსში 50-თეთრიანი ბილეთის უქონლობის გამო ღვაწლმოსილი პენსიონერიც კი ჯარიმდება 5 ლარით, ხოლო ამ ჯარიმის ერთი თვის მანძილზე გადაუხდელობის შემთხვევაში — 50 ლარით. ამის მერე კი, გადაუხდელობისას სახელწიფოს სასარგებლოდ ტარდება თანხის ამოღების იძულებითი ღონისძიებები!

სწორედ ამგვარი მიდგომა და კანონი უნდა მოქმედებდეს იგივე სახელმწიფოში გლეხის სასარგებლოდ და მაღაზიის გაუმაძღარი მეპატრონის საზიანოდაც. **ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სახელმწიფოს დონეზე იყოს გლეხისა და მწარმოებლის შრომა დაფასებულ-დაცულიც და მეორეც — განვითარებულ ქვეყნებში ისტორიულადაა დადასტურებული: სახელმწიფო წარმატებულად ვითარდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფოებრივი ინტერესები ემთხვეოდა მოსახლეობის პირად ინტერესებს.**

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს იმასაც დავამატებთ, რომ ხშირად ყურძნის ფასები ვერ ფარავს მისი მოყვანის ხარჯებს, სასურველია, რომ ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ იფიქროს და იმსჯელოს საგადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 პუნქტის გაფართოებისთვის გლეხებისთვის მეტი სარგებლობის უფლებით და მხოლოდ და მხოლოდ მათთვის გაუქმდეს საბაჟო გადასახადი თუნდაც დროებით, რათა დიდი ხარჯის ფასად მოყვანილი ყურძენი, რომელიც შიდა ბაზარზე ჩალის ფასად იყიდება, მისი გადამუშავების შემდეგ უახლოეს მეზობელ ქვეყნებში სარფიანად გაყიდონ.

**იმედს ვიტოვებ, ბატონო დავით, რომ მოუცლელობის მიუხედავად, გაეცნობით ჩემს თხოვნას და საქმედაც აქცევთ მას ათასობით გლეხის ინტერესების გათვალისწინებით. ამით კი, დაბეჯითებით უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო იხილავს გრძელვადიან დროით დასაქმებულ და, ამავდროულად, წელში გამართულ ათასობით მევენახეს.**

**მთავრობის და პარლამენტის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაც ხომ სწორედ ეს არის.**

პატივისცემით,

თამაზ ქვლივიძე,
საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი.

**P. S. თუ ვინმეს ჩემი წინადადება საგულისყუროდ მოეჩვენება და ჩემგან რაიმე დამატებითი ცნობა-განმარტების მიღებას მოისურვებს, შეუძლია, დამიკავშირდეს ტელეფონით 599 10 43 18.**

**თ. ქ.**

◎ ჯერ არ აშენებულა და...

# ქალაქი ერთი კაცისთვის

**სააკაშვილი ლაზიკას მისი პოსტსაპრეზიდენტო პერიოდისთვის იმზადებს, — ასეთი საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც ლაზიკას აშენების შესახებ გაკეთდა განცხადება. პრეზიდენტის გუშინდელმა ინიციატივამ კი ეს ეჭვი უფრო გაამძაფრა და სახელისუფლებო კულუარებში თავიდან დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ჯერ არაშენებული ქალაქისთვის საკონსტიტუციო სტატუსის მინიჭება სწორედ ამ მიზანს ემსახურება.**

საკონსტიტუციო ცვლილება პარლამენტში გუშინ იქნა ინიცირებული საკმაოდ საიდუმლო ვითარებაში. დილით სესიაზე დაანონსდა, რომ სესიებს შორის არსებულ შესვენებაზე ჩატარდებოდა ე.წ. ტექნიკური ბიურო, სადაც პარლამენტის დღის წესრიგს დაემატებოდა ის საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეებისთვის საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებას ითვალისწინებს.

ასეთი რამ პარლამენტში ხშირად ხდება და არც არავის გაკვირვებია. თანაც ეს ბიურო წერილობითი ფორმითაც არ ყოფილა დაანონსებული. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილება შემოვიდა და, როგორც შემდეგ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა, რომელიც სესიას თავმჯდომარეობდა, განაცხადა, გადაწყვიტა, რომ საზოგადოებრივი განხილვის კომისია იმ დღესვე შექმნილიყო და ამიტომაც ეს საკითხი სესიის დღის წესრიგს მოულოდნელად დაემატა.

იმის გამო, რომ პრეზიდენტის ინიციატივით, ლაზიკას სტატუსი კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს, კონსტიტუციაში ცვლილების შეტანაა საჭირო. საკონსტიტუციო ცვლილებისთვის კი აუცილებელია, რომ შეიქმნას ცვლილების პროექტის საზოგადოებრივი განხილვის კომისია, რომელიც ერთი თვის განმავლობაში ამ ცვლილებას საზოგადოებასთან ერთად განიხილავს, მოისმენს მათ წინადადებებსა და შენიშვნებს, რასაც დასკვნაში ასახავს და შემდეგ ეს პროექტი თავის შენიშვნებიანად გადაეცემა პარლამენტს. ამის შემდეგ დაიწყება საპარლამენტო განხილვის პროცედურა.

გუშინდელ სესიაზე კომისია შეიქმნა, სადაც ოპოზიციის წარმომადგენლებიც შედიან. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კომისია შეიქმნა კონსტიტუციაში იმის ჩასაწერად, რომ სამომავლო ქალაქ ლაზიკას განსაკუთრებული სტატუსი ექნება. ეს სტატუსი კი რას გულისხმობს, მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი.

ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ, თანაც ასე საჩქაროდ მიღებამ, გარკვეული კითხვები გააჩინა. ეს კითხვები ეხება იმას, თუ რას ნიშნავს ეს სტატუსი და ის ქვეყნისთვის რისი მომტანი იქნება, ან ამ სტატუსის არმინიჭების შემთხვევაში რა პრობლემა შეიძლება შეიქმნას. ამ კითხვებზე კი ხელისუფლების გაურკვეველმა პასუხებმა ეჭვები უფრო მეტად გაამძაფრა.

მედიასთან კომენტარი მხოლოდ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა გააკეთა და ისიც მხოლოდ იმის თქმით შემოიფარგლა, რომ ლაზიკაში სპეციალური, განსაკუთრებული რეგულაციები იქნება როგორც სახელმწიფოებრივი მოწყობის, ისე საგადასახადო და ეკონომიკური თვალსაზრისით. ყველა სხვა კითხვას კი მხოლოდ დემონსტრაციული დუმილით უპასუხა.

**„ლაზიკაში დაბალი საგადასახადო რეჟიმი და მაღალი დონის თვითმმართველობა იქნება. ახალი ქალაქი უნდა დამკვიდრდეს არა მხოლოდ საქართველოს რუკაზე, არამედ მსოფლიო რუკაზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ ქალაქს სპეციალური რეგულაციები ჰქონდეს ეკონომიკური აქტივობის, წახალისების კუთხით. მაგალითად, საგადასახადო რეჟიმი ლაზიკაში შედარებით უფრო დაბალი იქნება, ვიდრე დანარჩენ საქართველოშია. მას მაღალი დონის თვითმმართველობა ექნება და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ქალაქი იქნება საქართველოს შიგნით“,** — განაცხადა ცისკარიშვილმა.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე კი ამბობს, რომ მისთვის ასეთი რამ ძალიან გაუგებარია და რაიმე შეფასების გაკეთება უჭირს.

როგორც იგი აღნიშნავს, პროექტის გარეშე არსებითი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. მაგრამ აცხადებს, რომ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება არ სჭირდება.

**„საგადასახადო შეღავათების დაწესებასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ის წერია, რომ ეს რეჟიმი დგინდება მხოლოდ კანონით, ანუ კანონით უნდა დადგინდეს. მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს კონკრეტული საქმისთვის ან კონკრეტული ადამიანისთვის. მაგალითად, განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმი შეიძლება დადგინდეს რომელიღაცა თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის. მაგრამ ეს უნდა იყოს თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის და ეს ზონა სადაც შეიქმნება, იმაზე გავრცელდება. მაგრამ არ შეიძლება შეიქმნას ქალაქისთვის. ქალაქში უნდა შეიქმნას ზონა და იმისთვის შეიძლება დაწესდეს. ეტყობა, კონსტიტუციაში ამის ჩაწერას იმიტომ ფიქრობენ, რომ ეს დასაშვები გახდეს. მაგრამ მე მსგავსი რამ არც მინახავს და არც მსმენია“,** — ამბობს ხმალაძე.



ცხადია, რომ ხელისუფლებას სულ სხვა რაღაც აქვს ჩაფიქრებული და პრინციპში, ამას არც მალავენ. როგორც ცისკარიშვილი აღნიშნავს, ლაზიკას კონსტიტუციით განსაზღვრული განსაკუთრებული სტატუსი უნდა ჰქონდეს.

**დღეს მოქმედ კონსტიტუციაში ქალაქებთან დაკავშირებით არსებობს ერთი ჩანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ „საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი“. ცალკე ორგანული კანონი არსებობს, რომლითაც არის განსაზღვრული თბილისის მმართვის წესი, მისი უფლებები და მოვალეობები. ასევე ცალკე კანონი არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ, სადაც შედის ოთხი თვითმმართველი ქალაქიც.**

**ამიტომაც, თუკი კონსტიტუციაში ჩაიწერება ლაზიკას სტატუსის შესახებ, ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, დედაქალაქის გარდა, ყველა სხვა ქალაქზე მაღალი სტატუსი ექნება და მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ლაზიკასთან დაკავშირებული ჩანაწერი როგორ დაუკავშირდება თბილისის შესახებ არსებულ ჩანაწერს, მათ შორის რა განსხვავება და რა მსგავსება იქნება და ა.შ.**

**ამიტომაც სამთავრობო კულუარებში გავრცელებული ის მოსაზრება, რომ სააკაშვილი ლაზიკას თავისთვის იშენებს, არცთუ უსაფუძვლო ჩანს.**

შესაძლოა, ამ კონტექსტში იყოს განსახილველი ისიც, რომ ევროკავშირის მოქალაქეებისთვის საქართველოში საარჩევნო უფლების მიცემის შესახებ საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი კიდევ ერთხელ სწორედ გუშინ შეიცვალა. თანაც შეიცვალა ის ჩანაწერი, რომელიც, თავის მხრივ, გუშინწინ გაკეთდა.

**საუბარია პროექტის იმ ჩანაწერზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ ეს წესი ვრცელდებოდა 2015 წლის 1 იანვრამდე, ანუ ამ ვადაში ხვდებოდა მომავალი საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ამ შემთხვევაში თავი დავანებოთ იმას, თუ ეს ჩანაწერი რამდენად სამართლიანია. საინტერესო ის არის, რომ გუშინ 2015-წლიანი ვადა 2014 წლით შეიცვალა და გამოდის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამ პირებს, ანუ ივანიშვილს მონაწილეობის უფლება არ ექნება.**

**ძნელი სათქმელია, ეს ორი საკითხი ერთმანეთთან კავშირში არის თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმანეთს ძალიან საეჭვოდ დაემთხვა. ეს ყველაფერი კი ლიად უკვე კანონპროექტის შემუშავებისას გახდება ცნობილი.**

თეონა ხარაბაძე,

Presage.tv



# 9 მაისის არდავიწყება

**„იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ, უნდა აღვმართოთ წყებათა წყება“** — წერდა დიდი გალაკტიონი.

ქართველმა ხალხმა სრულიად ადამიანურად, სრულიად სამართლიანად აუგო საკუთარ გულში უკვდავების ძეგლი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველებს, ომგამოვლილ ვაჟკაცებს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდა სამამულო ომის პერიპეტიებთან.

...4 ათასამდე ომგამოვლილიღა დარჩა ცოცხალი. იმათი ნაწილი გუშინწინ ტრადიციისამებრ ვაკის (გამარჯვების) პარკში შეიკრიბნენ და ძველებური ერთგულებით აღნიშნეს ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი.

ომის ვეტერანებს მიესალმნენ პოლიტიკური კოალიციების და გაერთიანებების ხელმძღვანელები, თბილისის მერიის წარმომადგენლები... განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის კრიტიკული შეფასებები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას შეეხებოდა. კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის აღიარებით სააკაშვილის ხელისუფლებამ ზურგი შეაქცია ყველაზე ღირსეულ ხალხს — ომის ვეტერანებს და შინმოუსვლელთა მემორიალების ხელყოფით, სოციალური შეღავათების გაუქმებით შეურაცხყოფა მიაყენა მათ... ჩვენ ამ შეცდომას აუცილებლად გამოვასწორებთ, — დასძინა მან.

ომის ვეტერანების სასიცოცხლო პრობლემებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები წარმოთქვეს ნინო ბურჯანაძემ, გიორგი თარგამაძემ, ნონა გაფრინდაშვილმა და სხვ.

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო**













## წკეპლიკები

# გააჩერეთ!.. გააჩუმეთ!..

**დიახ, ასეთ შეძახილებამდე მიიყვანა მდგომარეობა საქართველოს მარდმა და ცქვიტმა შვიდმილიანნაბიჯიანმა, ენამოულღელმა და პირმოუმუწავმა პრეზიდენტმა და ნეტავ ამ შეძახილებით „მიშა-მიშა“ ჩანაცვლდებოდეს... აქამდე ხომ შემთხვევას (გამოსვლას) არ უშვებდა რუსეთისა და იმისი ხელმძღვანელობის გაულანძღავად და მგონი, საბოლოოდ გადაგვამტერა; ახლა, ისევ სისტემატური მცდელობით, აგრეთვე ორი უახლოესი მეზობელი უნდა გადაგვკიდოს — აზერბაიჯანი და სომხეთი.**

საქმე ისაა, რომ ყოველ გამოსვლაში (ფაქტობრივად, ყოველდღიურში და ზოგჯერ დღეში ორგზისში) მთელ თავის მჭევრმეტყველებას მიმართავს საქართველოს (სინამდვილეში სააკართველოს) წარმოსაჩენად, როგორც პირველი ქვეყნისა, წამყვანი ქვეყნისა, მისაბაძი ქვეყნისა სრულიად პოსტსაბჭოთა სივრცისათვის და კერძოდ, კავკასიაშიც; თურმე „ჩვენსკენ იშვერენ გაშლილ ხელებს“, ჩვენ გვბაძავენ, ჩვენგან იღებენ მაგალითს უკრაინაც, მოლდოვაც, ბელარუსიც, ბალტიისპირეთიც (ჩვენი ზოგიერთი ტელეჟურნალისტის ენა-პირით, „პრიბალტიკაც“), შუა აზიაც... ესენი იქით იყვნენ — არიან კიდევაც იქით... — და აქეთ მყოფებზე გავჩერდეთ, სომხეთსა და აზერბაიჯანზე.

მიხეილ-ბატონო, ასე ხშირად რომ (ზოგჯერ ისტერიულობითაც კი) გაჰყვირი, კავკასიაში ყველაზე მაგრები ვართო, ყველაზე წინ ვართო, ესა ვართ, ისა ვართო — შენს მეგობრებს, პრეზიდენტ სერჟ სარგსიანსა და პრეზიდენტ ილჰამ ალიევს არაფერს არ ეკითხები? მოსწონთ შენი ასეთი სიმაგრე, შენი ამგვარი მეწინავეობა, შენი ამნაირი ბაქიბუქი? ჩვენ მეზობელ და მეგობარ ქვეყნებს — აზერბაიჯანსა და სომხეთს მოსწონთ და უნდათ ჩვენს უკან ყოფნა? ჩვენი ეგრეთ წოდებული (ანუ შენგან და არაერთი დასავლელი თვალთმაქცი პოლიტიკოსისგან წოდებული) ლიდერობა? და კიდევ, და რაც არსებითია, თუ იქ, სომხეთსა და აზერბაიჯანში საწვავი უფრო იაფია, პროდუქტები უფრო იაფია, გადასახადები უფრო დაბალია, პენსიები და „წვრილფეხობის“ ხელფასები უფრო მაღალია, ვიდრე აქ, დარჩენილ საქართველოში, — რატომ ვართ ჩვენ იმათზე წინ და რატომ არიან ისინი ჩვენს უკან, ეს სადაური ლოგიკაა? სადაური და — ასინეთასაური?..

...გააჩერეთ!.. გააჩუმეთ!.. ღმერთო, ამ ორ მეზობელს მაინც ნუ გადაგვამტერებ „ნიჭიერი პოლიტიკოსის“ უგუნურობით...

# იქ საფრთხე რამე არ დაგემართოთ, დარჩიაშვილი იქ იმყოფება...

**განა მეხალისება, განა ერთგვარად არ მეჩოთირება ქვეყნის პრეზიდენტზე აგდებულად, სუსხიანად წერა, მაგრამ თუ ასე „მაგრად“ (იმისი საყვარელი სიტყვა) იმსახურებს? თანაც სისტემატურად, რეგულარულად, ყოველდღიურად, ყოველი გამოსვლისას? თუ ასეთი წამომყრანტალებელი და დამხეთქებელი გახდა?..**

არა, აფხაზეთსა და სოხუმზე, დასავლეთ საქართველოზე ამგვარი იგავმიუწვდომელი, ყურმომჭრელი და გულგასახეთქი როშვა მაინც რა იყო, როდის ნაფიქრი, სად გაგონილ-ამოკითხული... დავიჯერო, მრჩეველთა, ბევრთა და ბევრათასლარიანთა ამალიდან ურჩია ვინმემ?..

კი, უკვე გადაუჭირეს შოლტები, სავსებით დამსახურებული, პარლამენტის ოპოზიციონერთა გამოსვლებში, ოპოზიციურ პრესასა და ერთადერთ ოპოზიციურ ეთერში, მარა რაი მერე... ახლა პარლამენტის უარესობელებსაც ჰკითხეთ... ბოლო პლენარული სხდომიდან ტელეკადრები ვნახეთ, როგორ გააკრიტიკა ჯონდი ბაღათურიამ სოხუმური „წიაღსვლა“ გრძელოსი და როგორ დაიცვა იგივე „წიაღსვლა“ უარესობის ერთ-ერთმა ელიტურმა წევრმა, აბლანქებულმა დავით დარჩიაშვილმა: — არასწორი ინტერპრეტაცია მიეცით პრეზიდენტის სიტყვასო... არადა, სწორი ინტერპრეტაცია რა იყო, როგორ შეიძლებოდა იმ ნამიშარი სისულელის, იმ ნაროშავის გამოსწორება, ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ვერ გავიგე, კადრში ეს აღარ გამოსულა...

— დარჩიაშვილო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი პრეზიდენტსაო... კი, მიშასი ხარ, მაგრამ იმის ფრაქში ასეთი, ბოდიში და, გულისამრევი შეძრომით კიდევ რას გამოელი შენი გრძელი ბოსისგან, მგონი ერთ-ერთი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ბრძანდები და ეს ხომ შენთვის პიკია, მაქსიმუმია არსებულ ვითარებაში...

ვაი, რომ შენნაირები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში სხვანიც არიან... ბევრი ვინმე პარლამენტში მიშას ფრაქში მძრომელია (მელიაზე ხალხური გამოცანა ხომ გახსოვს?); უმრავლესობაც ამიტომ ჰქვიათ და უარესობადაც ამიტომ იქცნენ... ასე რომ, პარლამენტთან ფრთხილად ვიყოთ, მით უფრო, „კუდიგორაში“ გადასულთან... დარჩიაშვილი იქ იმყოფება...

**ბერდია ბედოიძე**

# ისტორიის გაკვეთილი პუტინისთვის

თავისი მეორე საპრეზიდენტო ვადის დასაწყისში ვლადიმერ პუტინმა საკუთარ აგარაკზე „ბრეინშტორმინგისთვის“ რამდენიმე გამოჩენილი ეკონომისტი, თავისუფალი ბაზრის მხარდამჭერი შეკრიბა. მათ შორის გახლდათ ხოსე პინიერა, ჩილეში, გენერალ აუგუსტო პინოჩეტის თექვსმეტწლიანი დიქტატურის პერიოდის ყოფილი მინისტრი.

ბ-ნი პინიერა მხოლოდ ეკონომიკური რჩევებით არ შემოიფარგლა და იმავდროულად გააფრთხილა პუტინი, რომ არ ღირს „ზედმეტად დიდხანს ზედმეტად დიდი ძალაუფლების შენარჩუნება“. შემდეგ საკუთარ სტატიაში, რომელიც შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთ რუსულ გაზეთში გამოაქვეყნა, მან პირდაპირ მოუწოდა პუტინს ორი ვადის შემდეგ ხელისუფლებიდან წასულიყო.

მიუხედავად ამისა, პუტინი განაგრძობდა რუსეთში ხელისუფლების შენარჩუნებას – თავდაპირველად როგორც პრეზიდენტი, შემდეგ კი როგორც პრემიერ-მინისტრი. 59 წლის ლიდერმა გაუძლო გასული ზამთრის მასშტაბურ ანტისამთავრობო გამოსვლებს, მარტში სკრუპულოზურად დადგმულ არჩევნებშიც გაიმარჯვა და ორშაბათს მესამე საპრეზიდენტო ვადის აღსრულებას უნდა შეუდგეს. ბ-ნი პუტინი არ გამორიცხავს, რომ 2018 წელს კვლავ მიიღებს მონაწილეობას პრეზიდენტის არჩევნებში; ასეთ შემთხვევაში კი მას ხელისუფლებაში ყოფნა 24 წელი მოუწევს, რაც სტალინს თუ არ ჩავთვლით, კრემლის ლიდერების ხელისუფლებაში ყოფნის ყველა ვადას აჭარბებს. თუმცა, ის პირობას დებს, რომ წავა, თუკი ხალხის მხარდაჭერას დაკარგავს.

მაგრამ, სინამდვილეში, ისეთ მდგომარეობაში მყოფ მმართველებს, როგორიც ბ-ნი პუტინია, ძალაუფლებაზე უარის თქმა არ უყვართ, და ამის არცთუ უმნიშვნელო მიზეზი ისიც არის, რომ საკუთარი მემკვიდრეების ეშინიათ. მონარქებს თუ არ ჩავთვლით, უახლეს ისტორიაში ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს ისეთი ავტოკრატებისა, რომლებიც ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ და თანამდებობაზე ყოფნის დროს მშვიდად გარდაიცვალნენ ან მშვიდად წავიდნენ პოსტებიდან. გავიხსენოთ ისეთი სამწუხარო მაგალითები, როგორიცაა შარშანწინდელი არაბული გაზაფხულის შედეგები ეგვიპტის ლიდერის ჰოსნი მუბარაქისთვის, რომელიც საბოლოო ჯამში ციხეში აღმოჩნდა და ლიბიის დიქტატორის დასასრული, რომელიც დაიღუპა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენმა დიქტატორებმა (ანგოლადან სირიამდე) ეს გაითვალისწინეს და ძალაუფლების განმტკიცებას შეუდგნენ.



პუტინის მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ის განასახიერებს რეჟიმს, რომელიც კორუფციასა და დაშინებაზე დგას. მის ზოგიერთ მხარდამჭერსაც კი ეჭვი ეპარება,რომ რეჟიმის საყრდენი ბოძები (არჩევნებში მანიპულაცია, მორჩილი სასამართლო, ლოიალური ძალოვანი უწყებები) შეძლებენ დემოკრატიისკენ სულ უფრო მზარდ მოწოდებებთან გამკლავებას.

მაშ ასე, რა არის მისი გამოსავლის ყველაზე რეალური სტრატეგიები? როცა არ უნდა დადგეს მისთვის დაფიქრების დრო, გამოსავალი არც ისე ბევრი აღმოჩნდება. დემოკრატიული მშენებლობის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ავტოკრატებისთვის არ არსებობს პენსიაზე გასვლის ისეთი უსაფრთხო გზები, რომელიც უზრუნველყოფდა მათთვის მშვიდობიან დაშვებას ისეთ შემთხვევაშიც, თუკი წასვლას დათანხმდებიან.

მიუხედავად ამისა, მოვიყვან არჩევანის რამდენიმე ვარიანტს და წამყვანი ავტოკრატიული მოდელების ჩამონათვალს, რომლის გამოყენებაც პუტინს შეუძლია:

**ვარიანტი 1.** ხალხის დემოკრატიისკენ წაყვანა. განას ყოფილმა სამხედრო დიქტატორმა, ავიაციის კაპიტანმა ჯერი ჯონ როულინგსმა მკვეთრად შეცვალა კურსი, როდესაც მისმა სოციალისტურმა გარდაქმნებმა კრახი განიცადა და რეჟიმს ფული გამოელია. მან ეკონომიკა ლიბერალიზაციის გზით ააღორძინა, შემდეგ ღია პოლიტიკური კონკურენცია დაუშვა და თავისუფალ არჩევნებში პრეზიდენტად ორჯერ აირჩიეს. დემოკრატიის მხარდაჭერით მანამ, სანამ ამას მისგან განას მოქალაქეები მოითხოვდნენ, მან პოპულარობა მოიპოვა და შეამცირა რისკი იმისა, რომ წარსული სისასტიკეებისა და ექსცესების გამო პასუხს მოსთხოვდნენ. კაპიტანმა როულინგსმა, რომელმაც ხელისუფლებაში 20 წელიწადზე მეტი გაატარა, 2001 წელს, მორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, მშვიდობიანად დატოვა ხელისუფლება.

**ვარიანტი 2.** უკანდახევის გზების გაუვნებელყოფა. 1990 წელს დანიელ ორტეგა, რომლის 10-წლიანი სანდინიური რეჟიმი აშშ-დან შეიარაღებულმა აჯანყებულების მოძრაობამ შეასუსტა, ნიკარაგუაში პირველი თავისუფალი არჩევნების გამართვას დათანხმდა – და დამარცხდა. წასვლის წინ მან შეთანხმება გააფორმა, რომელიც ყველა მხარეს ავალდებულებდა წარსულის გამო შურისძიებისგან თავის შეკავებას. ის ასევე ითვალისწინებდა იმას, რომ ორტეგას ძმა შეიარაღებული ძალების მეთაურის პოსტს შეინარჩუნებდა. გარდა ამისა, წარმავალმა ლიდერმა თავის თანამებრძოლ-სანდინისტებს ნაჩქარევად დაურიგა ასობით მილიონი დოლარის ღირებულების სახელმწიფო საკუთრება (ღირებულებათა ამ დარიგებაში, რომელსაც „პინიატა“ შეარქვეს, რამდენიმე დიდი სახლიც მოხვდა კვარტალში, სადაც იმ დროს მეც ვცხოვრობდი). ამან განამტკიცა სანდინისტთა პოზიციები, რომლებიც ოპოზიციურ პარტიად გარდაქმნის შემდეგ, ორტეგასადმი ლოიალურ და გავლენიან ძალად დარჩნენ და დაეხმარნენ მას 2006-2011 წლების არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნებაში.

**ვარიანტი 3**. ბოლო წუთამდე ბრძოლა. ეკონომიკის დანგრევისა და ძლიერი პოლიტიკური ოპოზიციის არსებობის პირობებშიც, პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, როგორც ჩანს, ზიმბაბვეს მართვას ცხოვრების ბოლომდე აპირებს. ის უკვე 32 წელი ქვეყნის სათავეშია, ერთმანეთს უზავებს რა შეზღუდულ ღიაობას პოპულიზმს და როდესაც ეს აუცილებელია, პოლიციურ სისასტიკესაც. მისი წასვლის სტრატეგია, როგორც ჩანს, ის არის, რომ არ უნდა წავიდეს. უცხოეთიდან ზეწოლის შესუსტების მიზნით, 2008 წელს მან თავის მთავარ მეტოქესთან ხელისუფლების განაწილებაზე შეთანხმება გააფორმა, მაგრამ განაგრძო მისი თანამებრძოლების დევნა და დაპატიმრება. თებერვალში მუგაბემ დაბადების 88 წლისთავი აღნიშნა და განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ამ ვერსიის პატარა საიდუმლო: ალმასების ვაჭრობით მიღებული მოგება, ძალოვანი უწყებების და მეგობრების ვიწრო წრის ლოიალობის უზრუნველყოფას უწყობს ხელს.

**ვარიანტი 4.** დინასტიის დაფუძნება ან ერთპარტიული სახელმწიფოს შექმნა. მონარქია – კარგი საშუალებაა ქვეყნის მარწუხებში შენარჩუნებისთვის, მაგრამ უგვირგვინო ავტოკრატებსაც აქვთ საკუთარი შესაძლებლობები. ფიდელ კასტრომ თავისი დიქტატორული ძალაუფლება კუბაში საკუთარ ძმას გადასცა. ჰეიდარ ალიევმა აზერბაიჯანი თავის შვილს უბოძა. ჩინელმა კომუნისტებმა ერთპარტიული მმართველობის და ლიდერების ცვლის ისეთი მექანიზმი შეიმუშავეს, რომელიც მექსიკაში და საბჭოთა კავშირში ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა. უკანასკნელ შემთხვევაში ლიდერებს უწევთ შეგუება მათი პირადი ძალაუფლების შეზღუდვასთან (მაგალითად, ჩინელი პრეზიდენტების მმართველობის ვადა ლიმიტირებულია), სამაგიეროდ ეს ამცირებს დამხობის ან გაკიცხვის, ასევე მემკვიდრის მხრიდან ღალატის შესაძლებლობას.

ბ-ნი პუტინის განკითხვის დღე, როდესაც მას მოუწევს რომელიმე სტრატეგიის არჩევა, ჯერ კიდევ შორსაა – შესაძლოა ის წლების შემდეგ დადგეს. დღეს მისი პოზიცია ბევრი თვალსაზრისით ძლიერია. მან რუსეთის ნავთობზე კონტროლი დიდწილად სახელმწიფოს დაუბრუნა. სპეცსამსახურები მისი ერთგული არიან. კრემლის მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები პუტინს მაჩოდ წარმოადგენენ – შეადარეთ ეს დასნეულებულ მუბარაქს ან შერცხვენილ სლობოდან მილოშევიჩს, რომელმაც კოსოვოში დამარცხების შემდეგ სერბეთზე კონტროლი დაკარგა.

რუსული ოპოზიცია ბევრად უფრო სუსტი და დანაწევრებული ჩანს, ვიდრე ის მშვიდობიანი მოძრაობები, რომლებმაც დაამხო მილოშევიჩის რეჟიმი 2000 წელს და რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოსა და უკრაინაში ჩამოყალიბებული რეჟიმები.

დაემორჩილება თუ არა ბ-ნი პუტინი საზოგადოებრივ ზეწოლას და რუსეთს დემოკრატიისკენ წაიყვანს (ვარიანტი 1) თუ მკაცრ კურსს აირჩევს (ვარიანტი 3)? კრემლის ერთ-ერთმა ყოფილმა ჩინოვნიკმა ბ-ნ პუტინს „ევოლუციური მიდგომის“ მომხრე უწოდა, რომელიც შეძლებს პოლიტიკის ლიბერალიზაციას იმ დოზით, რა დოზითაც ამას ხალხი ითხოვს.

თუმცა, ნიუ-ორკის უნივერსიტეტის პროფესორ ბრიუს ბუენო დე მესკიტას – წიგნის „დიქტატორის სამაგიდო წიგნი“ („The Dictator's Handbook“) ავტორს მიაჩნია, რომ ბ-ნ პუტინს რეჟიმის შემსუბუქების სერიოზული სტიმული არ ექნება, ვიდრე რუსეთში, ნავთობით მიღებული შემოსავლები საკმარისად მაღალია იმისთვის, რომ ადამიანთა გარკვეული ვიწრო წრე დააკმაყოფილოს.

თუმცა, გლებ პავლოვსკის, რომელიც წლების განმავლობაში იმიჯის საკითხებზე კრემლის კონსულტანტი იყო, ეს ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია. ადრე თუ გვიან, მისი თქმით, პუტინი ტიპურ რუსულ გამოსავალს მიმართავს – აირჩევს ორ ლოიალურ მხარდამჭერს, რომლებიც დაიცავენ მას დევნისგან, და ისეთ არჩევნებს გამართავს, რომელშიც, როგორც ჩანს, ერთ-ერთი მათგანი გაიმარჯვებს. პუტინი თავადაც ასე მოვიდა ხელისუფლებაში – პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ის მემკვიდრედ აირჩია, რის შემდეგაც მან აპატია თავის ავადმყოფ პატრონს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

ჩილეს დიქტატორმა პრეზიდენტის პოსტი 1990 წელს დატოვა მას შემდეგ, რაც ამომრჩევლებმა მას რეფერენდუმში მხარი არ დაუჭირეს, თუმცა შემდეგ 8 წლის განმავლობაში არმიის ხელმძღვანელის პოსტს ინარჩუნებდა, უფრო მოგვიანებით კი გახდა ულიმიტოდ არარჩეული სენატორი. ეს მას საკმარის ძალაუფლებას აძლევდა იმისთვის, რომ მთავრობების არჩევაზე გავლენა მოეხდინა და იმედი ჰქონოდა, რომ კანონზე მაღლა იდგებოდა.

საინტერესოა, რომ პინოჩეტმა, რომელიც 2006 წელს გარდაიცვალა, დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთი ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ფაქტობრივად იწინასწარმეტყველა ის დამსახურებული რისხვა, რომელიც მას თავს დაატყდა.

„მე ბევრს ვკითხულობ, განსაკუთრებით ისტორიულ ლიტერატურას“, – განაცხადა მან, – „ისტორია კი გვასწავლის, რომ დიქტატორები ყოველთვის ცუდად ამთავრებენ“.

**რიჩარდ ბუდრო**

THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთმა იორდანიას შესთავაზა ცეცხლსასროლი სისტემა „ბურატინო“ და აჩვენა ახალი შაშხანა**

ამანში მიმდინარეობს სპეციალური დანიშნულების ძალების საერთაშორისო გამოფენა „სოფექს-2012“. რუსეთმა პირველად წარმოადგინა უხმაურო სნაიპერული შაშხანა და დაგვპირდა, რომ შემოდგომისთვის იორდანიაში დაიწყებს ყუმბარმტყორცნ „ხაშიმის“ წარმოებას.

* * *

**თურქეთში 1997 წლის სახელმწიფო გადატრიალების საქმეზე 11 გენერალი დააპატიმრეს**



გამოძიებას განსაკუთრებული უფლებამოსილებათა საფუძველზე აწარმოებს ანკარის გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილება. პირველი ჩხრეკა და დაპატიმრებანი დაიწყო აპრილის დასაწყისში. ამ მომენტისთვის საქმის ფარგლებში დაპატიმრებულია 30-ზე მეტი კაცი, რომელთა შორისაც გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის ზოგი წარმომადგენელი და სხვა დიდი სამხედრო ჩინები არიან.

* * *

**ლონდონში რუსეთის საელჩოსთან გაიმართა მიტინგი მოსკოვში მასობრივი დაკავებათა წინააღმდეგ**




ლონდონის დემონსტრაცია ადგილობრივმა აქტივისტებმა და რუსულენოვანმა ბლოგერებმა მოაწყვეს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ისინი არ ეკუთვნიან არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ან მოძრაობას. აქციაში დაახლოებით 50 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

* * *

**ეგვიპტის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, შეაჩეროს პრეზიდენტის არჩევნების მოწყობა**

ადრე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, მიუხედავად თავისი საქმიანობის დროებითი შეჩერებისა პარლამენტთან კონფლიქტის შემდეგ, განაცხადა, რომ სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები, მიუხედავად ყველაფრისა, გაიმართება ზუსტად ვადებში. სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები ეგვიპტეში გათვალისწინებულია 23-24 მაისისთვის.



◉ „გაუცხოებული" ქართველები

# გვიმრავლოს ასეთი დასაკარგავები...

**კიდევ ერთ ახალგაზრდაზე უნდა გიამბოთ, ცხრა მთას იქით „გადაკარგულზე", მაგრამ იქიდანაც სამშობლოს სახელის განმსმენზე; რარიგ მწადია, რომ ახლახან იტალიაში 33 ქართველი ყაჩაღ-მძარცველის (თითქოსდა ჩვენი ანბანის ასობგერათა რიცხვთან შესაბამისობით) „აყვანის" პირქუში ინფორმაციის ფონზე ეს წერილი ერთგვარ სალბუნად მოეფონოს მკითხველის გულს...**

წლეულს, იანვარში, სახელგანთქმული ოქსფორდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ნინო (შინაურთათვისა და ბევრისთვისაც ნინიკო) შოთას ასულმა ჯაფარიძემ ხუთწლიანი (2006-2011) სწავლის შემდეგ იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ოქსფორდის დოქტორი გახდა. ეს სამი შვილის დედობასთან შეთავსებით შესძლო და ჩემს თვალში ნამდვილ გმირად ჩანს! საზოგადოებრივ ცხოვრებაში მედიის როლი და ტოლერანტობა გახლდათ დისერტაციის თემა და ტოლერანტობითაც ცნობილ საქართველოში გაზრდილს არ გაუჭირდებოდა ამ კუთხით ახალი სიტყვის თქმა...

ნიჭიერმა, ბეჯითმა, მიზანსწრაფულმა გოგონამ, თანაც გამორჩეული მშობლების შვილმა, აღზრდა-განათლების ისეთი შთამბეჭდავი გზა გაიარა, რომელსაც უნდა მიეყვანა კიდევაც ოქსფორდამდე... ნინიკომ 1989 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა, არაჩვეულებრივი პედაგოგებით „სავსე" – დირექტორი ლიანა შეწირულით დაწყებული, კლასის დამრიგებელ სვეტა ფანგანით გაგრძელებული, ინგლისურის მასწავლებლებით ელიკო ქუთათელაძით, თამუნა ჯაფარიძით, ეკონომიკური გეოგრაფიის მასწავლებელ სოსო ცისკარიშვილით დასრულებული (ბატონ სოსოს ბავშვებთან მეგობრობის იშვიათი უნარიც ჰქონია...).

ოქროსმედალოსანი იმავე წელს ჩაირიცხა თსუ-ის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ნიჭი, სიბეჯითე, მიზანსწრაფულობა ჰო, მაგრამ ნინიკოს დიახაც დროშიც გაუმართლა: იმხანად ხომ უცხოეთს აფარებული რკინის ფარდა გაიხსნა და გოგონამ პროექტებით, პროგრამებით, თხზულებებით ისე „დაბომბა" საზღვარგარეთი, რომ მოხიბლულმა ამერიკელებმა ილინოისის შტატის პრესტიჟულ კოლეჯში მიიწვიეს ოთხწლიანი (1991-1994) სწავლის მთლიანი დაფინანსებით (რაც ათეულათასობით დოლარია). ასე გახდა ნინო ჯაფარიძე ბაკალავრი პოლიტოლოგიისა და ეკონომიკის განხრით. იმ კოლეჯს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი „გადაება" (ვაშინგტონში), რომლის დამთავრებამ



ნინო ჯაფარიძე ქმარ-შვილთან

(1997-ში) პოლიტოლოგიის მაგისტრობა მოუტანა.

ახლა ვნახოთ ამდენი სწავლის პარალელურად როგორ ინტენსიურ საქმიანობას ახერხებდა ეს საოცარი ქალიშვილი: 1992 წლის ზაფხულში კარნეგის მშვიდობის ფონდის ინტერნია; 1994-95-ში ეროვნული მშვიდობის ფონდის პროგრამების ასისტენტი; 2000-2006 წლებში – ღია მედიის კვლევით ინსტიტუტში კავკასიის რეგიონის პროგრამების დირეტორი; იმავე პერიოდში – გლობალური კვლევისა და სტრატეგიული ანალიზის ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონული კვლევის დირექტორი; 2001-2006-ში – აშშ-ში ქართული სათვისტომოს პრეზიდენტი – დღემდე რჩება ამ გაერთიანების დირექტორთა საბჭოს წევრი; ასევე დღემდე გახლავთ კონსტანტინე სიდამონ-ერისთავის მიერ დაარსებული საქართველო-ამერიკის მეგობრობის ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი; ხომ შთამბეჭდავი „შრომის წიგნაკია"?..

ნინიკო ჯაფარიძე პირად ცხოვრებაშიც წარმატებული და ბედნიერია: აშშ-ში მისთხოვდა თანაკურსელ, „მეტიც", თანაჯგუფელ ამერიკელს ჯოუზ ჰენინგს, აწ პოლიტოლოგ-დოქტორს; ვაშინგტონში დასახლებულ ცოლ-ქმარს ჰყავთ „მიყოლებული" გოგონები, 11 წლის ელენ-მარი, 10 წლის ოდრი-სოფია და „გვიანდელი" ბიჭუნა, 5 წლის ჯესი-საბა (სამივე ორმაგსახელიანი...); აქვე სათქმელად, მისტერ ჯოუზმა, მეუღლის „მოწაფეობით", ჩინებული ქართული ისწავლა თურმე და ტკბილი ენით ემუსაიფება საქართველოში ყოველწლიური ჩამოსვლისას, სიდედრს, სიმამრს, ეგ კი არა, სიდედრის 85 წლის დედას და რაჭაში, „ჯაფარიძეებში" – იქაურ მეზობლებს... ბავშვებს რაც შეეხება, ქართულად ყველაფერი ესმით, ლაპარაკი ცოტა უჭირთ, მაგრამ დედის სამშობლოს ყოველწლიურ სტუმრებს ყველაფერი წინა აქვთ... საგულისყურო კიდევ ისაა, რომ სიძის მშობლებსაც ძალიან შეჰყვარებიათ საქართველო, რაჭა, ქართველები და ხშირად სტუმრობენ კიდევაც...

ისევ ჩვენი წერილის გმირს მივუბრუნდეთ – ნინო ახლაც, სამი შვილის დედა, მოკრძალებულ, მშობლებისადმი ერთობ კეთილგანწყობილ შვილად დარჩენილა. მამას, შესანიშნავ დასტაქარს, პროფესორ შოთა ჯაფარიძეს თვალსაჩინო როლი შეუსრულებია ქალიშვილის გაზრდაში და დიდი ავტორიტეტიც შეუნახავს იმის თვალში (მკითხველს ვთხოვ, ბატონ შოთასთან დაკავშირებით „სრ"-ის 3 მაისის პუბლიკაციის გახსენებას). ნინიკოს ვაშინგტონური ოჯახი, როგორც ამერიკელებს შეეფერება, ფრიად დემოკრატიულია, საშინაო საკითხები ბავშვების მონაწილეობით წყდება...

...ეს ყველაფერი სასახელო ქალიშვილის დედის, ექიმ-პათოლოგის, მომხიბლავი ქალბატონის ლალის ნაუბრის მიხედვით მოგაწოდეთ... საამაყო ასულის მეორე მშობელს, ნიადაგ ოპერაციებში „ჩაფლულ" ბატონ შოთას სალაპარაკოდ აგრე ადვილად ვერ „გამოიჭერ".

**თამაზ ეზანოიძე**

◉ ქველმოქმედება

# სადაც ასეთი თანადგომაა!..

## აქცია მიეძღვნა ასოციაციის დაფუძნების 20 წლისთავს

**ახლახან საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" წარმომადგენლები ასოციაციის თავმჯდომარის მაია კვეზერელი-კოპაძის ხელმძღვანელობით უკვე მერამდენედ ეწვივნენ ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის ბავშვთა პანსიონს. ქალბატონი მაიას ქალიშვილი, ახალგაზრდა პედიატრი თეონა დევდარიანი, დედის მიბაძვით თუ საკუთარი მოწოდებით, კარგა ხანია თავის სამეგობროსთან ერთად საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ამჯერად თეონა და ქველმოქმედი თანამოაზრეები: თეკლა იორდანიშვილი, ნინო ნოზაძე, ნუცა აბაშიძე, ლიკა ჯორბენაძე ასოციაციის იუბილესადმი მიძღვნილ აქციას შეუერთდნენ.**

მათი და ასოციაციის გაერთიანებული ნობათი მართლაც ხელშესახებად გამოიყურებოდა. რამდენიმე ყუთი წიწიბურა, ჰერკულესი, მაკარონი, ხუთი ლიტრი ზეთი, 10 კილოგრამი შაქარი, 8 კილოგრამი „ბარამბოს" კანფეტი, რამდენიმე ყუთი ნამცხვარი. ცნობილმა პედიატრმა, საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარემ ია დავითაიამ, ასოციაციის სახელით თავის მხრივ ბავშვებს გაუგზავნა 6 კოლოფი ბავშვთა კვება და პამპერსები. შპს „ნუტრილენდმა" შემოწირულობებს მიამატა 975 ლარის ბავშვთა კვება–ფაფები და რძის ნარევები, ასევე შპს „ჰუმანამაც" დაიდო წილი კეთილ საქმეში.

გარდა კვების პროდუქტებისა, ბავშვებისათვის შეგროვდა როგორც ახალი, ისე მეორედი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ჩვენს ქვეყანაში მრავალ მადლიან საქმეს ჩაეყარა საფუძველი და ერთ-ერთი სწორედ ზესტაფონის წმინდა ბარბარეს სახელობის ბავშვთა პანსიონია. იგი დაარსდა 1994 წელს. იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მომრავლდნენ ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები და აღმოჩნდნენ ეს ბავშვები ზესტაფონის ბავშვთა პანსიონში; სხალთის ეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი (აბულაძე) უძღვება ამ საერო საქმეს – მომავალი თაობის სულიერ და ფიზიკურ აღზრდას. ერთ დიდ ოჯახად შეკრულ პანსიონში სიმშვიდე და კეთილგანწყობა სუფევს. პანსიონთან ფუნქციონირებს წმინდა იოანე ოქროპირის სახელობის გიმნაზია, სხვადასხვა ასაკის ბავშვები აქვე იღებენ საშუალო განათლებას, სწავლობენ საღვთო სჯულს, ცხოვრობენ ეკლესიურად.

მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით ნინოწმინდაში ასეთივე ბავშვთა პანსიონი დაფუძნდა, რომელიც უთუოდ შეუწყობს ხელს ამ რეგიონში ქართული გენოფონდის აღორძინებას. ქართულ სკოლაში ქართველებთან ერთად სომეხი ბავშვებიც დადიან, ეუფლებიან ქართულ ენას, ეცნობიან ქართულ კულტურას. ნინოწმინდაში 115 ბავშვია, ზესტაფონის პანსიონში 112.

– პანსიონის აღსაზრდელებიდან თითქმის ყველას ჰყავს მშობელი, – აღნიშნა სასწავლო ნაწილის გამგემ ცისანა საყვარელიძემ, – მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო მშობლები შვილებს მინიმუმითაც კი ვერ უზრუნველყოფენ, ამიტომ ბავშვები ჩვენთან მოჰყავთ სხვადასხვა რეგიონიდან. რასაკვირველია, გვყავს ობლებიც და ისეთი ბავშვებიც, რომელთა მშობლების ასავალ-დასავალი გაურკვეველია. 0-5 წლამდე გვყავს 42 ბავშვი, აქედან 13 ჩვილი, დანარჩენი სასკოლო ასაკისანი არიან. ყველა სიკეთესთან ერთად პანსიონში დასაქმებულია 220 ადამიანი: პედაგოგები, სამედიცინო პერსონალი, აღმზრდელები, მომვლელები და სხვა. სასკოლო პროგრამასთან ერთად გოგონები სწავლობენ ხელსაქმეს – კერვას, ქსოვას, ქარგვას. ვაჟები მეურნეობაში არიან დასაქმებულნი. 48 ჰექტარ მიწის ფართობზე მოგვყავს შვრია, იონჯა. ეზოს ტერიტორიაზე პომიდორი, კომბოსტო, ვინახავთ 185 სულ ძროხას. გვაქვს საკუთარი რძის ნაწარმი. მეურნეობაში დასაქმებული ბიჭები ჩვეულებრივ იღებენ ხელფასს, რომელიც ენახებათ გარკვეულ ასაკამდე. როდესაც დამოუკიდებლად შეძლებენ ცხოვრებას, დაგროვილი თანხა გადაეცემათ. დაუბრუნდებიან მშობლებს. თუ მშობლები არა ჰყავთ, განზრახულია, მათთვის ბინის შეძენა. ასე რომ, ამ ბავშვების მომავალზეც ვზრუნავთ.

მინდა მადლიერებით გავიხსენო თქვენი ასოციაციის დამოკიდებულება ჩვენი პანსიონატის მიმართ. რამდენჯერმე მოგვაკითხეთ, დაგვეხმარეთ, მაგრამ განსაკუთრებული იყო უფროსკლასელებისათვის მერხების ჩამოტანა. ახლა ბედს ნამდვილად არ ვემდურით. გვაქვს კარგი კვება, ზოგი საკუთარი მეურნეობით მიღებული, ზოგი – შეძენით. ყოველნაირად აწყობილი საყოფაცხოვრებო პირობები. ერთი ეგ არის, შენობა შიგნით და გართ ძალზე სარემონტოა. წლების მანძილზე ველოდებით, იქნებ გამოგვიჩნდეს ვინმე კეთილმოსურნე, რომ ეს პრობლემა მოგვიგვაროს.

**ბოლოთქმა. საქართველოში ბევრ ბავშვთა სახლს არ აქვს ასეთი პირობები. ის რაც მოზარდისათვის აუცილებელია, ამ ბავშვებს არ აკლიათ.**

**ზაირა სხირტლაძე**



◉ წინ, საქართველო!

# ზუკამ ისევ გაგვახარა

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეიძლება ახსოვდეს, ნორჩი ქართველი ნიჭიერი პიანისტის **ზურაბ (ზუკა) ცირეკიძის** დიდი წარმატების შესახებ საერთაშორისო არენაზე, ქვეყანას, პირველად, სწორედ „საქართველოს რესპუბლიკამ" რომ აუწყა. დიახ, ზუკამ 2009 წლის მაისში, 8 წლის ასაკში მოცარტის IV საერთაშორისო კონკურსში (იტალია, რომი) 1 ადგილი დაიკავა. შემდგომ იყო 2011 წლის თებერვლის პარიზის სკრიაბინის სახელობის XI საერთაშორისო კონკურსი, სადაც იგი III საპრიზო ადგილზე გავიდა და ამის თაობაზე კვლავაც დაიბეჭდა ჩვენთან ექსკლუზიური ინფორმაცია. არც ახლა ვარღვევთ ტრადიციას და ქართულ მასმედიაში პირველად ჩვენ ვაქვეყნებთ ინფორმაციას 11 წლის ნორჩი პიანისტის მორიგი საერთაშორისო აღიარების შესახებ.



მაშ, ამ ცოტა ხნის წინათ პარიზში გაიმართა 23-ე საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი „ELAME-2012" („ცეცხლი-2012"), რომელშიც მონაწილეობდა 280 მუსიკოს-შემსრულებელი: მევიოლინეები, ჩელისტები, საოპერო მომღერლები და პიანისტები 30-ზე მეტი ქვეყნიდან (აშშ, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი...) თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის" V კლასის მოსწავლემ ზურაბ ცირეკიძემ (პედაგოგი ესმა ქირია) შეასრულა ფრედერიკ შოპენის „ვარიაციები გერმანულ თემებზე" და კლოდ დებიუსის „არაბესკა". საფორტეპიანო კონკურსის მონაწილენი დაყოფილნი იყვნენ ორ კატეგორიად: 6-16 წლამდე და 16-28 წლამდე. თავის მხრივ პირველი კატეგორია იყოფოდა 3 ჯგუფად: 6-9 წლამდე, 10-13 წლამდე, 14-16 წლამდე. პატარა პიანისტის ჯგუფში 35 მოსწავლე იყო, შეფასება კი 100-ბალიანი სისტემით ხდებოდა.

გრან-პრი არ გაცემულა. **ზუკამ დააგროვა ყველაზე მეტი – 96 ქულა და გახდა პირველი სპეციალური პრემიის მფლობელი – კონკურსის გამარჯვებული!**

პატარა ქართველი პიანისტის საფრანგეთში გამგზავრება მოხდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დიდი ხელშეწყობით და ასევე კომპანია „სილქნეტის" დახმარებით.

თბილისის 21-ე საჯარო სკოლის მეხუთე კლასის წარჩინებულ მოსწავლე ზურაბ ცირეკიძეს ახალი შემოქმედებითი გეგმებიც აქვს. სურს მონაწილეობა მიიღოს პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსში, „შელკუნჩიკის" სახელით ცნობილ საერთაშორისო კონკურსში. მან იცის, რომ ყველაფერი ეს, მხოლოდ დიდი შრომის ფასად მიიღწევა.

მაშ, კვლავაც გამარჯვებები, ზუკა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ კალათბურთი

# „არმია“ და „ოლიმპი“ დაწინაურდნენ



**საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ოთხი გუნდიღა („არმია“, „ოლიმპი“, „ქუთაისი-2010“ და „სოხუმი“) შემორჩა.** ნახევარფინალის პირველი მატჩები სპორტის სასახლესა და ქუთაისში დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი „არმია“ დაუმარცხებლად განაგრძობს პაექრობას კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. „სოხუმმა“ რეგულარული სეზონის დამთავრების შემდეგ ფლეი ოფებისთვის უხმო სამ ლეგიონერს – სტევან მილოშევიჩს, ჯაშუა ჯექსონსა და რაიან რიჩარდსს, მაშინ როცა „არმიას“ ხუთი უცხოელი (შელომი, დიასი, ვუდსაიდი, ტომასი, რიჩარდსონიძ კარგა ხანია გაუშინაურდა. სწორედ მათი დამსახურებაა, „ძალოვანებმა“ მორიგი გამარჯვება რომ მიითვალეს. არადა, მატჩის პირველი პერიოდი თანაბარ ბრძოლაში გაილია და 15:15 დამთავრდა. მეორე ათწუთიანი მონაკვეთიდან არმიელთა უპირატესობა თანდათან თვალსაჩინო გახდა და ჩემპიონებმა საბოლოოდ მიზანსაც მიაღწიეს – 79:63. ამ წარმატებაში ლომის წილი უილიამ ტომასმა დაიდო, რომელმაც საკუთარ გუნდს 30 ქულა შესძინა. ზღვისპირელთაგან ყველაზე მეტად სტევან მილოშევიჩი გაისარჯა – 15 ქულა.

მეორე ნახევარფინალური პაექრობა ქუთაისში მოულოდნელი სცენარით წარიმართა. რეგულარული ჩემპიონატის მატჩებში „ოლიმპმა“ სამჯერ წააგო რიონისპირელებთან, სტუმრად გამართული პირველი მატჩი კი გია კაზანჯიანის შეგირდებმა უკეთ წარმართეს: პირველ პერიოდში 10 ქულით დაწინაურდნენ. მეორე ათწუთიან მონაკვეთს ანგარიშში სხვაობა არ შეუცვლია. მესამეში მასპინძლებმა გარდატეხის შეტანა სცადეს და ნაწილობრივ გამოუვიდათ კიდეც – 25:19, თუმცა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს და 59:67 დამარცხდნენ. რევაზ დიდიამ (ქუთაისიძ და ივან ტოდოროვიჩმა („ოლიმპი“ძ თავიანთ გუნდებს 15-15 ქულა მოუტანეს.

მეხუთე-მერვე ადგილებისთვის პაექრობაში „დინამომ“ თსუ-ს 115:82 აჯობა.

**გივი გაგუა**

◉ ჭადრაკი

# მედლებიც, ფულადი პრიზებიც



**ანაკლიაში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 69-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც წრიული სისტემით 12 მანდილოსანი ეცილებოდა ერთმანეთს მედლებს**. შესანიშნავად ითამაშა საქართველოს ნაკრების წევრმა ბელა ხოტენაშვილმა. ბოლო ოთხ ტურში მან 3,5 ქულა აართვა მეტოქეებს, 11 შესაძლებლიდან 8 ქულას მოუყარა თავი და პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. 7 ქულით მე-2 ადგილზე გავიდა 18-წლიანებში შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი მერი არაბიძე, რომელიც ბოლო ტურში ნინო ბაციაშვილთან დამარცხდა. ამ უკანასკნელს 6,5 ქულით ბრინჯაოს მედალი ერგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ნაზი პაიკიძე – 6, სალომე მელია – 5,5, სოფიკო გურამიშვილი – 5,5, მაია ლომინეიშვილი – 5, სოფიო გვეტაძე – 5, მადონა ბოკუჩავა – 4,5, ინგა ჭარხალაშვილი – 4,5, ინგა ხურცილავა – 4,5, სოფიო ხუხაშვილი – 4 ქულა. ჩემპიონატზე დაწესებული იყო საპრიზო ფონდი – 13,500 ლარი, რომელიც ასე განაწილდა: ხოტენაშვილი – 4.000, არაბიძე – 3.500, ბაციაშვილი – 3.000, პაიკიძე – 2.000, მელია – 1.000 ლარი. ხოტენაშვილმა სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატის (ბათუმი, 30 მაისი – 6 ივნისი, 2012 წ.ძ საგზურიც დაიმსახურა. გაისად ბელაც და მერი არაბიძეც ევროპის ქალთა ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დაფინანსდებიან.

**ლაშა დიდია,**
ვაჟა დანელიას ფოტო.

◉ ფეხბურთი

# „ატლეტიკომ“ ტიტული დაიბრუნა

**მესამე წელიწადია, ევროპალიგის თასის გათამაშება პირენეელებმა საშინაო საქმედ აქციეს. მთავარი პრიზი 2010 წელს ესპანეთის „ატლეტიკომ“ მოიპოვა, შარშან თასმა პორტუში (პორტუგალია) დაიდო ბინა, წლეულს კი ესპანელმა ფეხბურთელებმა ისევ მადრიდში დააბრუნეს.** ფინალში „ატლეტიკო“ და „ატლეტიკი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დედაქალაქელებს ფინალური პაექრობის მოსაგებად მეტი მოტივაცია ჰქონდათ – უეფას თასსა და მის მემკვიდრე ევროპა ლიგაზე მე-100 მატჩს მართავდნენ და იუბილეს ტიტულის დაბრუნებით აღნიშვნაც უნდოდათ. მართლაც, ორთაბრძოლა ახალი დაწყებული იყო, რომ რადამელ ფალკაომ მარცხენა ფეხით „ატლეტიკის“ კარის „ცხრიანში“ რომ მოათავსა ბურთი – 1:0.



ოცდახუთი წუთის შემდეგ მანვე ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ ბილბაოელებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები, უფრო ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ, მაგრამ ბურთის გატანის ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. ბოლო თხუთმეტი წუთის განმავლობაში ნამდვილი შტურმი მოაწყვეს მადრიდელთა კართან და იერიშებით გართულ „ატლეტიკოს“ კონტრშეტევა „გამოეპარა“. ბრაზილიელმა დიეგომ ულამაზესი გოლი გაიტანა. სიმონეს შეგირდებმა 3:0 გაიმარჯვეს და ერთწლიანი შესვენების შემდეგ ტიტული დაიბრუნეს.

**უჩა დანელია**

◉ მხატვრული ტანვარჯიში

# „თბილისის თასი – 2012“

**დედაქალაქის მერიისა და ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ინიციატივით 12-13 მაისს კალათბურთის აკადემიის დარბაზში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. „თბილისის თასზე“ საქართველოს, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და უზბეკეთის წარმომადგენლები იასპარეზებენ.**



ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ უფროსებში – ელვირა ზუკაკიშვილი, რომელმაც ახლახან მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და სალომე შავდათუაშვილი. საგულისხმოა, რომ ზუკაკიშვილს მოსკოვში სახელოვანი ტანმოვარჯიშე ოქსანა სკალდინა ავარჯიშებს, ხოლო შავდათუაშვილი კიევში ცნობილი ფეხბურთელის – ვლადიმირ ბესონოვის მეუღლე და მსოფლიოს ჩემპიონ ანა ბესონოვას დედა ვიქტორიასთან იმაღლებს ოსტატობას. ახალგაზრდებში სარბიელზე ვიხილავთ საქართველოს პირველობის პრიზიორებს – გაბრიელა ხვედელიძეს, სოფიო ფარულავას და სალომე ფაჟავას. ჩვენმა გოგონებმა ამას წინათ პენზაში 23 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის გუნდური მე-2 ადგილი დაიკავეს რუსების შემდეგ. ხვედელიძემ რგოლითა და გურზებით ვერცხლის მედლები დაიმსახურა, ფარულავას და ფაჟავას, შესაბამისად, ბურთითა და ბაფთით ბრინჯაოები ერგოთ. ჯგუფურ ვარჯიშში მედლებისთვის სალომე ბურდილაძე, ლიკა ცეცაძე, მედეა გათენაძე, ნაზი და ქეთი ასიტაშვილები იბრძოლებენ. თბილისის ტურნირი ჩვენი სპორტსმენებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპიცაა ევროპის პირველობისთვის, რომელიც 1-3 ივნისს ნიჟნი ნოვგოროდში გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ჭიდაობა

# ბაქოში – მსოფლიოს თასზე



**მომავალ შაბათ-კვირას აზერბაიჯანის დედაქალაქი თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო შეჯიბრებას – მსოფლიოს თასს უმასპინძლებს.** ეს იქნება გუნდური ტურნირი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: გიორგი ედიშერაშვილი (55 კგძ, მალხაზ ზარქუა (60ძ, ზურაბ იაკობაშვილი (66ძ, დავით ხუციშვილი (74ძ, დავით მარსაგიშვილი (84ძ, ელიზბარ ოდიკაძე 196ძ და დავით მოძმანაშვილი (120ძ. უწინდელი გადაწყვეტილებით, მსოფლიოს თასზე ზაზა თურმანიძეს საუკეთესო შემადგენლობა უნდა წაეყვანა, მაგრამ ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (55ძ, ოთარ თუშიშვილმა (66ძ და გიორგი გოგშელიძემ (96ძ სალიცენზიო ტურნირებზე ახლახან იჭიდავეს და მათ ამჯერად დასვენების საშუალება მისცეს.

ბაქოს მსოფლიოს თასზე მთავარი პრიზისთვის 10 ქვეყნის გუნდები (საქართველო, აზერბაიჯანი, რუსეთი, ირანი, აშშ, თურქეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, იაპონია და ბულგარეთიძ გაუწევენ ერთმანეთს მეტოქეობას.

**ლევან ზოიძე**

◉ უნივერსიადა

# სტუდენტები 15 მაისს დაიწყებენ

**საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 15 მაისს დაიწყება და 12 ივნისს დასრულდება „უნივერსიადა-212“.** ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სპორტის 22 სახეობაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდებიან. ასპარეზობის შედეგების გათვალისწინებით დაკომპლექტდება ქვეყნის ნაკრები, რომელიც ევროპისა და მსოფლიო უნივერსიადებზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

უნივერსიადის პროგრამაშია ძიუდო, ბადმინტონი, ხელბურთი, ქართული, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობები, ტაეკვონდო, სამბო, კარატე, ჭადრაკი, მძლეოსნობა, ცურვა, მკვლავჭიდი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, შვიდკაცა რაგბი, ფრენბურთი, ძალისმიერი სამჭიდი, ქუჩის კალათბურთი, მშვილდოსნობა, სროლა და კრივი.

**თემურ დოლიძე**

# ღირსეული პიროვნება, მამულიშვილი და კაი ყმა



## ბიძინა სონღულაშვილი – 60

ბატონო ბიძინა!

თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ქვეყნისა და ქართული საქმისადმი ერთგულების დიდებული მაგალითია. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან სახელიანი და კოლორიტული კაცის, ბატონი დავით სონღულაშვილის ოჯახში ღირებულებები, ფასეულობები და პიროვნული თვისებები მარადიული იყო და იქნება. ყველგან, სადაც გისწავლიათ, გიშრომიათ და გიღვაწიათ, ჩვენი მშობლიური „გეპეის“, სტუდენტობიდან დაწყებული, ისეთ საპასუხისმგებლო პოსტებზეც, როგორიცაა რაიკომის მდივანი, სახაზინო საწარმო „თბილმეტრომშენის“ გენერალური დირექტორი, თუ კახეთის გუბერნატორი, ყოველთვის გამოირჩეოდით მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, შრომისმოყვარეობით, ენერგიულობით, პუნქტუალობით და ორგანიზებულობით. ყოველთვის გვხიბლავდა თქვენი ერთგულება და სიყვარული მეუღლისადმი, შვილებისა და შვილიშვილებისადმი, დიდი კაცობა, მოყვასისა და მეგობრობისადმი თავდადება.

გილოცავთ, ჩვენო ძმაო და მეგობარო,

ჭირსა და ლხინში საიმედო, მოტივირებულო, გულღია და ხალისიანო ბიძინა, გისურვებთ დიდი პოტენციალის თვითრეალიზებას. ცხოვრების მეორე ნახევარიც სანაქებო მასპინძლის როლში გაგვეტარებინოთ, არ მოგვკლებოდეს თქვენი დალოცვა მართალი ღვინით და კახური მჭექარე „მრავალჟამიერით“.

**გოდერძი ბუკია, ლეილა გრძელიძე,
ზურაბ ერქვანია, გია მახარაძე, მარინა მიქაძე,
გურამ ახალაია, მანანა კეკელიძე,
ნანა კეკელიძე, თემურ კვარაცხელია**

11 მაისი 2012 წელი, ქ. თბილისი



# თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს მიღებას 2012-2013 სასწავლო წლისათვის:

***საბაკალავრო პროგრამებზე:***

**1. საშემსრულებლო ხელოვნება** – აკადემიური გუნდის დირიჟორობა, კლავიშიანი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი საკრავები (ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა), საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა, დასარტყამი საკრავები).
**2. კომპოზიცია**
**3. მუსიკის თეორია**

***სამაგისტრო პროგრამებზე:***

**1 საშემსრულებლო ხელოვნება** – აკადემიური გუნდის დირიჟორობა, კლავიშიანი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი საკრავები (ვიოლინო, ალტი), საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები (ჰობოი, კლარნეტი, საყვირი, ტრომბონი, დასარტყამი საკრავები).
**2. კომპოზიცია**
**3 მუსიკისმცოდნეობა** – მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია.

***სადოქტორო პროგრამებზე:***

**1. საშემსრულებლო ხელოვნება** – აკადემიური გუნდის დირიჟორობა, კომპოზიცია, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, კამერული ანსამბლი, სოლო ფორტეპიანო, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო საკრავები (ვიოლინო, ალტი, ჩელო, ფლეიტა, ჰობოი, ფაგოტი, კლარნეტი.)
**2. სამუსიკისმცოდნეო კვლევები** – მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია.
**3. კომპოზიცია.**

***პროფესიულ პროგრამებზე:***

**1 საგუნდო დირიჟორობა** (V საფეხური)
**2. საკრავიერი შემსრულებლობა** – გიტარა (V საფეხური)
**3. მუსიკის სწავლების საფუძვლები** (V საფეხური)
**4. ჯაზის ხელოვნება** – ვოკალური, საკრავიერი (V საფეხური)
**5. ბალეტის ხელოვნება** (V საფეხური).

დამატებითი ცნობების მიღება შესაძლებელია კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტში (ტელ. 29870270, study@conservatoire.edu.ge კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.conservatoire.edu.ge


◎ მტრული გეგმა

# მდინარე ხრამი განსაცდელშია

ბოლნისის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ცნობილი გახდა, რომ იგეგმება ჰესების „ხრამი-3“-სა და „ხრამი-4“-ის მშენებლობა, რისთვისაც მდინარე ხრამის ეკოლოგიურად სუფთა წყალი, „ხრამჰეს-2“-ის ქვემო ბიეფიდან, უნდა გადააგდონ მდინარე მაშავერას ეკოლოგიურად დაბინძურებულ აუზში.



მდინარე ხრამს ქვემო ქართლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მისი ჩამონადენის თითქმის ყოველი კუბური მეტრი წყალი აღრიცხვაზეა აყვანილი. მდინარე ხრამის წყალი დღეისათვის გამოყენებულია მრავალი სოფლის სასმელი წყლით მომარაგებისათვის, კიდევ მრავალი სოფელი გეგმავს მდინარე ხრამიდან სასმელი წყლით უზრუნველყოფას. მდინარე ხრამით ირწყვება ათასობით ჰექტარი სავარგულები და ათასობით ჰექტარი სავარგულების მორწყვა კიდევ იგეგმება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დღეისათვის წარმოქმნილია სარწყავი წყლის დეფიციტი.

სოფლები, რომლებიც „მიბმული“ არიან მდინარე ხრამზე, დასახლებულია აზერბაიჯანული მოსახლეობით, რომლებიც მთლიანად დაკავებული არიან სასოფლო პროდუქტების მოყვანით და წელიწადში სამ მოსავალის იღებენ. მდინარე ხრამის ჩამონადენის თუნდაც ნაწილობრივი შემცირება ნიშნავს მათ დატოვებას საარსებო პირობების გარეშე.

ზოგიერთი ბოლნისელის აზრით, მდინარე ხრამის წყლის მდინარე მაშავერაში გადაგდების პროექტი არის მზაკვრული და მტრული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს არჩევნებთან დაკავშირებით, ქვემო ქართლში, ეთნიკურ ნიადაგზე უკმაყოფილებისა და ამბოხის პროვოცირებას პოლიტიკური დივიდენდებისთვის.

ბოლნისის არასამთავრობო ორგანიზაციებს იმედი აქვთ, რომ ენერგეტიკის სამინისტროში, საკითხის ადგილზე შესწავლით, რეალურად შეაფასებენ პროექტის განხორციელების შემთხვევაში წარმოქმნილ მდგომარეობას და არ დაუშვებენ მოვლენების საშიშ განვითარებას.

**ნუგზარ კობახიძე**

◎ დახმარება

# უშემწეობის მორევში

**მახსოვს, თავის დროზე, როცა სიტყვა ჩამოვარდებოდა ხოლმე იმის თაობაზე, თუ რამდენად უკეთ ცხოვრობს ხალხი ამერიკაში, ვიდრე „საბჭოეთის განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში“, ერთ-ერთი „სერიოზული“ არგუმენტი ის იყო, რომ თითქოს იქ უმუშევრები დახმარების წყალობით უდარდელად ცხოვრობენ. იმ დროს კომუნიკაციის საშუალებები მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, ამდენად არც არის გასაკვირი, რომ უმუშევრობის კომპენსაცია ერთგვარად „ტკბილი ცხოვრების შარავანდედით“ იყო შემოსილი. მერე და მერე კი გაირკვა ყველაფერი, გავიგეთ იმის შესახებაც, რომ უმუშევრობის დახმარებას ამერიკაში, ევროპისა და აზიის განვითარებულ ქვეყნებში ფინანსურის გარდა სხვა ფორმებიც აქვს (მაგალითად, უფასო საცხოვრისის, სურსათის მიწოდება, კომუნალური გადასახადებისგან გათავისუფლება და სხვ.). ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: განვითარებულ, გნებავთ, განვითარებად ქვეყნებში უმუშევრობის კომპენსაცია სოციალურად გაჭირვებული ფენებისთვის ბევრისთვის ახალი სამუშაოს შოვნამდე და, მაშასადამე, შემოსავლის წყაროს გაჩენამდე ის ღუზაა, რომელიც შიმშილისა და უსახლკარობის მორევში ჩაძირვისგან თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა.**

ბუნებრივია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრობის დახმარება სხვადასხვა ოდენობისაა და განსხვავებული დროის მანძილზე გაიცემა. გარკვეული ზღვრის დაწესების მიზანი, უწინარესად, უმუშევარი კაცის სამუშაოს ძებნაზე წახალისებაა, რათა საკუთარი თავიც და სამეურვეოც თავად არჩინოს, მეორეც ის, რომ სახელმწიფოს შესაძლებლობები, ეკონომიკურად რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს, ამოუწურავი არ არის.

თუ რა ხდება ამ მხრივ საქართველოში, ყველასათვის კარგადაა ცნობილი – **ქვეყანაში უმუშევრობის კომპენსაციის მექანიზმები, ფაქტობრივად, არ არსებობს და, როგორც ამის გარდუვალი შედეგი, საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი ხალხი სოციალურად პრაქტიკულად დაუცველია. თანაც ეს მაშინ ხდება, როცა დიდძალი ფედერალური თუ ადგილობრივი სახსრები ათასგვარ ისეთ რამეზე იხარჯება, რაც ბევრი წელში გამართული ქვეყნისთვისაც კი უფრო ფუფუნება იქნებოდა, ვიდრე გარკვეული აუცილებლობა. ამასთან, სავალალო გარემოებაა ისიც, რომ ოფიციალური მონაცემებითაც კი, ქვეყანაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 16 პროცენტის დონეზეა, ანუ უმუშევარია ყოველი მეექვსე შრომისუნარიანი მოქალაქე. რაც შეეხება დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებას, უმუშევრობის დონე, სულ მცირე, დაახლოებით ორნახევარჯერ მეტია.**

აქვე ვიტყვით, რომ უმუშევრობის კომპენსაციას გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე ხალხი იღებს, ვისაც არც დანაზოგი აქვს, არც რაიმე კაპიტალი ან სხვა შემოსავალი. სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში უმუშევრობის შემწეობის მიმღებთა რიცხოვნობა განსხვავებულია. მაგალითად, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შვედეთსა და **გერმანიაში,** სადაც იგი დაახლოებით 50 პროცენტია. უფრო ნაკლებია იგი **დიდ ბრიტანეთში** (30 პროცენტი), **საფრანგეთში** (33 პროცენტი), **იტალიაში** (20 პროცენტი) სხვაგან.

მდიდარ და შეძლე, „დავარცხნილ“ ქვეყნებს თავი რომ დავანებოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უმუშევრობის კომპენსაციას პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებშიც, ცხადია, გარკვეული გრადაციით, იღებენ. მაგალითად, **რუსეთში** უმუშევრობის მინიმალური ზღვარია 850 რუბლი (დაახლოებით 50 ლარი), მაქსიმალური – 4900 რუბლი (დაახლოებით 285 ლარი), ხოლო უმუშევრობის დონე 6 პროცენტზე დაბალია. **უკრაინაში** უმუშევრობის დახმარება დაახლოებით 40 ლარს შეადგენს (845 გრივნა), სადაც უმუშევრობის დონე 8 პროცენტს სჭარბობს. **ბელარუსში** ეს მაჩვენებელი დაახლოებით 33 ლარის ეკვივალენტს შეადგენს. ამ ქვეყნებში უმუშევრობის კომპენსაციას ათასობით მოქალაქე იღებს ისევე, როგორც მეზობელ **სომხეთში** (დაახლოებით 16,5 ათასი კაცი), სადაც მისი ოდენობა 70 ლარის ფარგლებშია), თუმცა ცალკე აღსანიშნავია, რომ იქ უმუშევრობა ჩვენსაზე შეუდარებლად მცირეა და მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენს. ამასთან, უმუშევრობის სახელმწიფო პროგრამით ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე იქ 5,5 მილიარდი დრამია (24,3 მილიონი ლარი) გამოყოფილი. აზერბაიჯანში კი მისი ოდენობა 177 მანათითაა განსაზღვრული, რაც დაახლოებით 370 ლარის ეკვივალენტია, რაც 3-პროცენტიანი უმუშევრობის დონის პირობებში საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

ერთი სიტყვით, ამ მცირედი მიმოხილვის ბოლოს შეიძლება ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით ახლანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველგან მძაფრად იჩენს თავს, მის სოციალურ შედეგებთან ბრძოლა, ასე თუ ისე, ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. მაგალითად იგივე ბელარუსი შეგვიძლია ავიღოთ, სადაც უმუშევრობის კომპენსაცია ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. უმუშევრობასთან და მის ნეგატიურ შედეგებთან ბრძოლის ერთგვარ ელემენტად ჩვენში გარკვეულწილად შეიძლება მოსახლეობისთვის ელექტროენერგიისა და საწვავის ვაუჩერების დარიგება მივიჩნიოთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისინი თანხობრივ სიმწირეს თავი რომ დავანებოთ, თავად ერთჯერადობის ფაქტის სოციალურ ეფექტიანობას, ფაქტობრივად, ნულამდე ამცირებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**მეუღლე გია ძიმისტარიშვილი, შვილები დავითი, ლაშა, რძლები თინათინ ხეცურიანი, ნინო ტაბიძე, ცისანა ცომაია, ჟანა გრძელიძე, შვილიშვილები გია, დიმა, დეა, ლუკა ძიმისტარიშვილები, ძმები ვახტანგ, თენგიზ ოყრეშიძეები, მული ნუკრი ძიმისტარიშვილი, მძახლები მარინე, თემურ ტაბიძეები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნელი ალექსანდრეს ასული ოყრეშიძე-ძიმისტარიშილი**

**პანაშვიდი 11 V, დაკრძალვა 12 V, 14 საათზე, მისამართი, თბილისი პეკინის გამზ. №2, II სადარბაზო, ბინა №28.**

**ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია თანაუგრძნობს აკადემიის ნამდვილ წევრს ნოდარ ჩხარტიშვილს დის**



**ლიანა ჩხარტიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**პანაშვიდი 11 V, 16 სთ. გამოსვენება 12.V. 14 სთ. პავლოვის 28.**



# სამორი ბალდეს დიდი დღე

**ქართველი (გურული) გოგუაძეების ოჯახში გაზრდილი ნახევრადზანგი ბიჭი სამორი ბალდე ისე შეიყვარა ჩვენმა ტელემაყურებელმა, რომ „იმედის“ მიმზიდველ პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მის გამარჯვებას ძალიან ბევრი ნატრობდა.**

ეს პროექტი ზოგისთვის სასაცილო იყო, ზოგისთვის – პროვინციული, ზოგისთვისაც – აკადემიური!

სასაცილოდ ნანუკა ჟორჟოლიანის რჩეული როსტოს (ლევან როსტომაშვილისძ როკვას მიმსგავსებული ძუნძული იყო;

პროვინციული ელფერი „სამეგრელოს მაფშალიას“ ლელა წურწუმიას ანგარებაგადაკრულ (რავარია მუქთად მიღებული ბინა ბათუმის „მაგნოლიაში“ძ აცეკვებას დაჰკრავდა... არადა, რა ვარსკვლავბიჭუნა – თორნიკე წერეთელი უმშვენებდა მხარს!..

აკადემიური, გამორჩეული, დახვეწილი, პროფესიულ დონემდე ამაღლებული ცეკვები შეისწავლეს და მერე „უშიშრად“ წარუდგინეს მაყურებელს სამორი ბალდემ და ლიკა ლაზაძემ.

მართალია, სუპერკრიტიკოსი, ნამეტნავად სამართლიანი ჟიურის წევრი გოჩა ჩერტკოევი ზოგჯერ სამორის როკვაშიც ვერ ხედავდა „ნამდვილ ცეკვას“ მაგრამ... ათასობით ტელემაყურებელმა სამორი-ლიკას წყვილს ერთხმად მიანიჭა პირველი ადგილი.

სამორის გამარჯვება მარტოოდენ კარგი ცეკვით არ იყო განპირობებული.

მშვიდი, გაწონასწორებული, დიდებული ქართულის მცოდნე, გურული ბაბუის და უკრაინელი ბებიის მიერ გაჭირვებაში გაზრდილი ნახევრადზანგი ბიჭი ჩინებულ ტელეწამყვანად და კეთილშობილ რაინდად ჩამოყალიბდა. ტოტალური სიცრუით სავსე ტელეკომპანია „იმედის“ ყველაზე მდიდარმა სახემ ნანუკა ჟორჟოლიანმა ერთ მშვენიერ დღეს მართალიც თქვა: „სამორი ბალდეს განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას შეიძლება მიაღწიო საკუთარი შრომისმოყვარეობით, მონდომებით, თანდაყოლილი ნიჭით!“

ჭეშმარიტად!.. ნანუკამ ეს „სიბრძნე“ სულ სხვა პოლიტიკური მოსაზრებით გაახმიანა (დახეთ, სააკაშვილის რეჟიმი რა ჰუმანურიაო...ძ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამორი ბალდე ამ „სიბრძნის“ ნაღდი საფუძველი გახდა.

რაც შეეხება „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალურ სცენას, – 22 წლის უნახავი გვინეა-ბისაუელი მამის და სამორის მოულოდნელ შეხვედრას, გინდ ნოე სულაბერიძის (პროექტის ავტორისძ დადგმული დაარქვით, გინდ გიორგი არველაძის მოფიქრებული სცენა... იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ თვით ყველაზე პირწავარდნილ ნიჰილისტსაც კი ცრემლებს მოჰგვრიდა...

პროექტი დამთავრდა. სამორი ბალდეს დედა კარგა ხანია (საბერძნეთში ცხოვრობს მეორე ქმართან ერთადძ, ელადის ქვეყნიდან ლოცავს თავის პირმშოს, ჩვენ კი, უფალს შევთხოვოთ:

**უმრავლოს საქართველოს სამორი ბალდეს მსგავსი ნაღდი გულის ქართველები!**

**ვნახოთ, რა იქნება ხვალ, – მართლა მისცემენ თუ არა საოცარ გაჭირვებაში გაზრდილ ბიჭს ბათუმის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ „მაგნოლიაში“ გარემონტებულ, ნორმალურ ბინას?!**

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა ქართველი ხალხის „ნაციონალური“ მისწრაფებანი – ნამდვილი ნიჭის დაუფასებლობა, ფერადკანიანთა „დისკრიმინაცია“, კუთხურობა, მიკერძოება და ა. შ.

საქართველოში ეს არც არასოდეს ყოფილა...

არადა, ფინალის მონაწილე მეორე დიდებულ წყვილს თიკო სადუნიშვილს და გიორგი გაჩეჩილაძეს რომ გაემარჯვა, ვერავინ იტყოდა, ეს რა უსამართლობა იყოო!..

**სპარტაკ ქობულია.**











## ანეკდოტები

**ორი** დაქალი შეხვდა ერთმანეთს:
– ვაიმე, ნატუკა, მუშაობას ვიწყებ ჯანმრთელობის სამინისტროში.
– ვაიმე, დავეცი! იქ რა უნდა აკეთო?
– რა და, წესრიგი უნდა დავამყარო.
– ვაიმეე! რა მაგარია! რა თანამდებობაზე დაგნიშნეს?
– დამლაგებლად..



* * *

– **ღვინო**, ლუდი და არაყია შენი დაუძინებელი მტერი! – უყვირის ცოლი მიხოს.
– მერე რა გინდა ახლა, ქალო! შენ გინდა, რომ მტერს შევუშინდე? ვერ მოგართვი!

* * *

**დიდუბიდან** მეტრო დაიძრა თუ არა, სვანი დაიხარა და შარვალი აიკეცა.
– რას შვრები, კაცო! – ეკითხება მეგობარი.
– რა ვიცი, შემდეგი სადგური ღრმაღელეაო, გამოაცხადეს და...

* * *

**ბლატნოი** კურდღელმა სახინკლეში 100 ხინკალი და 1 წვენი შეუკვეთა. მერე ტუალეტში გავიდა, რომ დაბრუნდა, ხინკალი აღარ დახვდა.
– ვინ შემიჭამა ხინკალი? – კითხულობს გაბრაზებული.
– მე შევჭამე, რამე პრობლემაა? – სკამიდან წამოიბრიქა მგელი.
– არა, უბრალოდ, მინდოდა მეკითხა, წვენი რატომ დატოვე-მეთქი, – ეუბნება შეშინებული კურდღელი.


## განცხადება

### სს ჩაჩავას კლინიკის მორიგი კრების მოწვევის შესახებ

**სს ჩაჩავას კლინიკა იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2012 წლის 1 ივნისს, პარასკევს, 16 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №38.**

**დღის წესრიგი:**

**1) 2011 წლის წლიური ანგარიში;**
**2) მოგების განაწილების შესახებ;**
**3) სხვადასხვა.**

კრებაზე მოწვეულნი არიან ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი 2012 წლის 10 მაისის 18 საათის მდგომარეობით რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „კაპიტალ-რეგისტრი“. მსურველებს ამ ფაქტის შემოწმება შეუძლიათ მიმდინარე წლის 22 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 11 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, VI სართული, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „კაპიტალ-რეგისტრის“ ოფისი.

კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე აქციონერები უფლებამოსილი არიან ამ განცხადების გაცნობიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურად მიმართონ გენერალურ დირექტორს დღის წესრიგში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე (წესდების 7.4 პუნქტიძ.

**სს ჩაჩავას კლინიკის გენერალური დირექტორი**
**ე. გოცირიძე**
თბილისი, 2012 წლის 11 მაისი.



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24